ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
იურიდიული ფაკულტეტი
სამართლის სამაგისტრო პროგრამა (საჯარო სამართალი)

სამაგისტრო ნაშრომი:

„სასამართლოს მეგობარი ადმინისტრაციულ პროცესში- ეფექტური მართლმსაჯულების გარანტი თუ წარუმატებელი ნოვაცია?“

მაგისტრანტი: სალომე ბანძელაძე
ხელმძღვანელი: ირმა ხარშილაძე, ადმინისტრაციული სამართლის პროფესორი

ნაშრომი წარდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი
2019

სარჩევი

გამოყენებული აბრევიატურები iii
შესავალი 1
1. სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტის ცნება/არსი და გავრცელების არეალი 2
2. ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტის შეტანის სამართლებრივი წინაპირობები 5
2.1. სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტის შემოღება საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში 6
2.2. სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტის დამკვიდრება სისხლის სამართლის პროცესში 8
2.3. სახალხო დამცველის საკანონმდებლო წინადადება 10
3. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის ნოვაციის მიზნები და გარანტიები 12
3.1. მოსაზრების წარდგენაზე უფლებამოსილ პირთა წრე 15
3.2. გამჭვირვალე და ეფექტური მართლმსაჯულების ხელშეწყობა 22
3.2.1. დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი კომენტატორი 24
3.3. მოსამართლის თავისუფალი ნება 26
4. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის ნოვაციის ქმედითობა პრაქტიკაში 28
4.1. სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტის გამოყენების სტატისტიკა 2015 წლიდან დღემდე 29
4.2. მოსამართლის ნდობის ხარისხი სასამართლოს მეგობრის სუბიექტის მიმართ 34
დასკვნა 38
ბიბლიოგრაფია 45
დანართი 49

გამოყენებული აბრევიატურები

გვ.	გვერდი
ე.ი.	ესეიგი
თარგმ.	თარგმანი
იხ.	იხილეთ
მუხ.	მუხლი
რედ.	რედაქტორი
სასკ	საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი
სზაკ	საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი
შეად.	შეადარეთ
შემდ.	შემდეგი
ხელმძღ.	ხელმძღვანელი
Ed.	Edition - რედაქცია
pg.	Page - გვერდი
GIZ	საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების სამართლის პროგრამა საქართველოში
Crc	გაეროს ბავშვთა უფლებების კომიტეტი

შესავალი

მოქალაქეთა ჩართულობას სასამართლო პროცესში სასამართლოს მეგობარი უზრუნველყოფს. სწორედ იგია საზოგადოებასა და სასამართლოს შორის მაკავშირებელი რგოლი. სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტი პოპულარულია ევროპულ დონეზე, რაც გამოიხატება იმით, რომ საზოგადოების წარმომადგენლები ხშირად სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტის მეშვეობით ერთვებიან სამართალწარმოებაში. აღნიშნულს ხაზს უსვამს ის ფაქტიც, რომ სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტი დანერგილია ისეთ მნიშვნელოვან ორგანოებში, როგორებიცაა: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო, საზღვაო სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალი, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოები–რუანდისა და ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოები, ასევე, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის საარბიტრაჟო ორგანოები.[1]ქართულ მართლმსაჯულებაში სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტი დანერგილია ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის პროცესში, აგრეთვე, საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში.

წარმოდგენილი ნაშრომის საკვლევ პრობლემას წარმოადგენს, ის თუ რამდენად გაამართლა მოლოდინი სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტმა ქართულ სასამართლო პრაქტიკაში-ადმინისტრაციულ დავებზე და რა არის იმისთვის საჭირო, რომ იგი არ იქცეს გამოუყენებელ ნორმად კოდექსში. კვლევის ობიექტი არის მართლმსაჯულების ეფექტურად განხორციელების პროცესი- მნიშვნელოვანია, განიმარტოს, თუ რას გულისხმობს „სასამართლოს მეგობარი“ ადმინისტრაციულ პროცესში და რა ფუნქციური დატვირთვა აქვს მას მართლმსაჯულების ეფექტურ განხორციელებაში. ამ კუთხით ძირითადი ყურადღება გამახვილდება სასამართლოს მეგობრისა და სწრაფი, გამჭვირვალე, ეფექტური მართლმსაჯულების ურთიერთმიმართებაზე, რაც გამოკვეთს ნოვაციის როგორც დადებით მხარეებსა და უპირატესობებს, ისე მის ნაკლოვანებებსა და უარყოფით ასპექტებს. კვლევის საგანს წარმოადგენს პროცესის უშუალო მონაწილეების- მოსამართლისა და სასამართლოს მეგობრის სტატუსით მოსარგებლე პირთა დამოკიდებულება სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტის მიმართ და ამ ინსტიტუტის გამოყენების პრაქტიკა როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე. კვლევის საკვანძო საკითხია ის, თუ რამდენად

---

[1] *კვაჭაძე/ჯუღელი/ ღვინჯილია/ლურსმანაშვილი*, სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტის (AMICUS CURIAE) როლი სამართალწარმოების პროცესში, მართლმსაჯულება და კანონი№1(61)/2019,17.

აქტიურად იყენებენ ეს პირები უფლებას,წარადგინონ მოსაზრება სასამართლოში და ენდობიან თუ არა მოსამართლეები სასამართლოს მეგობრის მიერ მიწოდებულ წინადადებებს, შესაბამისად ითვალისწინებენ და ასახავენ თუ არა მას საბოლოო გადაწყვეტილებაში.წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია დაადგინოს, სასამართლოს მეგობრის ნოვაცია ადმინისტრაციულ საპროცესო სამართალში ქმედითია თუ უმოქმედო. კვლევის ამოცანაა „სასამართლოს მეგობრის" როლისა და მნიშვნელობის განსაზღვრა მართლმსაჯულების განვითარებაში და მისი მახასიათებლების განხილვის საფუძველზე ინსტიტუტის პრობლემური საკითხების გაუმჯობესება. ნაშრომი მოიცავს ავტორისეულ ხედვას სასამართლოს მეგობრის ნოვაციის ეფექტურ ფუნქციონირებასთან დაკავშირებით, საუბარია გზებზე, თუ როგორ და რა ხერხებით უნდა გახდეს ის უფრო მეტად აქტუალური ფართო მასებისთვის.

კვლევა ემყარება როგორც კანონმდებლობის, ისე სამეცნიერო ლიტერატურისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზს, გამოკითხვასა და ინტერვიუებს აღნიშნულსფეროსთან დაკავშირებულ კომპეტენტურ პირებთან. ნაშრომში გამოყენებულია ისტორიულ-სამართლებრივი, ფორმალურ-იურიდიული, დოგმატური, შედარებით-აღწერილობითი, ანალიზისა და სინთეზის მეთოდები.

1. სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტის ცნება/არსი და გავრცელების არეალი

სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტი რომაულ სამართალში იღებს სათავეს, Amicus curiae-[„კურიის მეგობარი]-სასამართლოს მეგობარი,[2] ძველი რომაული სამართლის მიხედვით, იყო პირი, რომელიც სასამართლოს აწვდიდაინფორმაციებს უცნობ ან ბუნდოვან საკითხებზე.[3]ამ ლათინური სიტყვის თარგმანი ხშირად იწვევს დაბნეულობას განსხვავებული განმარტებების გამო სამართლის სხვადასხვა სისტემის იურიდიულ ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკაში;[4] თანამედროვე სამართლებრივ სისტემებში ეს უძველესი ინსტიტუტი დაინერგა და განვითარდა იმ სახესხვაობით,რომელიც დამახასიათებელია კონკრეტული ადგილობრივი სამართლებრივი ტრადიციებისთვის.[5]

რომაული სამართლის პირმშო შემდგომში საერთო სამართლის სისტემის მქონე ქვეყნების ეროვნულ კანონმდებლობაშიც აისახა. რომაული

---

[2]*ალექსიძე/გაგუა/დანელია/კობახიძე/რუხაძე,* ლათინური იურიდიული ტერმინოლოგია, 58.
[3]Темнов, латинские юридические изречения,80.
[4]*Mohan,*The Amicus Curiae: Friends No More? Singapore Journal of Legal Studies #2,2010, 353.
[5]*Mohan,* The Amicus Curiae: Friends No More? Singapore Journal of Legal Studies #2,2010, 352.

სამართლიდან ეს ინსტიტუტი ინგლისურ სამართალსაც გადმოაქვს და იწოდება, როგორც“Friend of the court“.[6]მას შემდეგ, რაც სასამართლო Amicus Curiae-ს ჩართავს საქმეში, იგიიხსენიება, როგორც „Amici“.[7] სხვადასხვა იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნული ინსტიტუტი ასევე ხშირად გვხვდება - “Amici curiae” და “Amicus curiae briefs” სახელწოდებით.

Amicus Curiae დოქტრინის თანამედროვე სახით ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა. ამერიკის უზენაესმა სასამართლომ 1821 წელს საქმეზე Green v. Biddle[8]პირველად გამოიყენა სასამართლოს მეგობრის მოსაზრება, თუმცა საბოლოო სახეAmicus Curiae-ს კონცეფციამ XX საუკუნეში სასამართლო პრეცენდენტით მიიღო.[9]ამჟამად აშშ-ში აქტიურად გამოიყენება სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტი. უზენაესი სასამართლოს რეგლამენტის 37-ე მუხლი ითვალისწინებს „სასამართლოს მეგობრის“ მიერ მოსაზრების წარდგენის ფორმატს, შინაარსს და გარემოებებს უზენაეს სასამართლოში. ფედერალური კანონმდებლობის 29-ე მუხლი ასევე ითვალისწინებს სასამართლოს მეგობრის მოსაზრების წარდგენას ფედერალურ სასამართლოებში. სასამართლოს მეგობარი შესაძლებელია დაბარებული იქნას მოსაზრების ზეპირი ფორმით წარსადგენადაც.[10]

კონტინენტური სამართლის ქვეყნებში აღნიშნული ინსტიტუტის გამოყენების პრაქტიკა კარგად დამკვიდრებული არ არის - კერძოდ ის, რომ დავის არსისადმი იურიდიული ინტერესის არ მქონე მესამე პირებს პროცესში მონაწილეობის ნება დაერთოთ, თუმცა ზოგიერთ მათგანში, კერძოდ საფრანგეთის პრეცენდენტულ სამართალში,განვითარდა იგივე ინსტიტუტი. უმეტეს ქვეყნებს საქმეში სასამართლოს მეგობრის მონაწილეობის პრაქტიკა არ აქვთ. მიუხედავად ამისა, ის მნიშნელოვან მექანიზმს წარმოადგენს, განსაკუთრებით საჯარო მნიშვნელობის საქმეებზე.[11]სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტი გათვალისწინებულია ALI/UNIDROIT–ის სამოდელო საერთაშორისო სამოქალაქო პროცესის პრინციპების მე-13 პრინციპით შემდეგი სახით: პროცესის მნიშვნელოვან სამართლებრივ საკითხსა და საფუძველთან დაკავშირებით შესაძლებელია მიღებულ იქნას წერილობითი განცხადება მესამე პირებისგან სასამართლოს თანხმობით, მხარეებთან

---

[6] *კვაჭაძე/ჯუღელი/ ღვინჯილია/ლურსმანაშვილი,* სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტის (AMICUS CURIAE) როლი სამართალწარმოების პროცესში, მართლმსაჯულება და კანონი №1(61)/2019, 17.

[7] *კოტეტიშვილი,* სუბარი., (რედ.) Amicus curiae სასამართლოს მეგობარი,12.

[8] იხ. გადაწყვეტილება https://caselaw.findlaw.com/us-supreme-court/21/1.html ნანახია 18.05.2019

[9] *კვაჭაძე/ჯუღელი/ ღვინჯილია/ლურსმანაშვილი,*სასამართლოსმეგობრისინსტიტუტის (AMICUS CURIAE) როლისამართალწარმოებისპროცესში, მართლმსაჯულებადაკანონი №1(61)/2019, 18.

[10] https://www.law.cornell.edu/wex/amicus_curiae ნანახია 18.05.2019

[11] *ხარიტონიშვილი,* სადისერტაციო ნაშრომი-მესამე პირები სამოქალაქო პროცესში,180.

კონსულტაციის შემდგომ სასამართლოს შეუძლია მოიწვიოს ასეთი განმცხადებელი. მხარეებს სასამართლოს მიერ განხილვამდე, აღნიშნულ მოსაზრებასთან დაკავშირებით, წერილობითი მოხსენების წარდგენის შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ. სასამართლოს მეგობრის მოსაზრება არის სასარგებლო საშუალება, რომლითაც არამხარეს შეუძლია სასამართლოს მიაწოდოს ინფორმაცია და სამართლებრივი ანალიზი, რომელიც ხელს შეუწყობს საქმის ადეკვატურ გადაწყვეტას. [12]

აღსანიშნავია, რომ „სასამართლოს მეგობრის" ინსტიტუტს, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში აქტიურად დაინერგა და კონტინენტური ევროპის სამართლებრივ სისტემაშიც მოქმედებს, ასევე აქტიურად იყენებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო.[13]ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 36-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს სასამართლოს მეგობრის ჩართვას პროცესში, კერძოდ, „მართლმსაჯულების ჯეროვნად განხორციელების ინტერესებიდან გამომდინარე, სასამართლოს თავმჯდომარეს შეუძლია მოიწვიოს ნებისმიერი მაღალი ხელშემკვრელი მხარე, რომელიც არ არის პროცესის მონაწილე ან ნებისმიერი დაინტერესებული პირი, რომელიც არ არის განმცხადებელი, წერილობითი კომენტარის წარსადგენად ან საქმის მოსმენებში მონაწილეობის მისაღებად." სტრასბურგის სასამართლო ყოველთვის ლიბერალურ პოლიტიკას ატარებდა, მესამე მხარისთვის მოსაზრების წარდგენის მინიჭების მხრივ.[14] აღნიშნული შესაძლებლობის მიცემა ინდივიდისთვის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წარმოადგენს მნიშვნელოვან პროცესუალურ მონაპოვარს. იგიდაინტერესებულ პირებს, მაგალითად არასამთავრობო ორგანიზაციებს, აღჭურავს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საკუთარი დასკვნის წარდგენის უფლებამოსილებით.[15]

კონვენციის 36-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ითვალისწინებს ხელმშემკვრელი მხარის ჩართვას საქმეში, რომლის ერთ-ერთი მოქალაქეც არის განმცხადებელი, შესაბამისად, ასეთ სუბიექტს უფლება აქვს წარადგინოს წერილობითი კომენტარი და მონაწილეობა მიიღოს საქმეში. 2017 წლის 13 ნოემბერს სახალხო დამცველმა პირველად გააგზავნა სასამართლოს მეგობრის მოსაზრება ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, საქმეზე–

---

[12]იქვე

[13]http://www.ombudsman.ge/geo/tsinadadebebi/saxalxo-damcvelis-winadadeba-administraciul-processhi-sasamartlos-megobris-institutis-shemogebis-shesaxeb-saqartvelos-parlamentma-daamtkica ნანახია 18.05.2019

[14]https://strasbourgobservers.com/2015/02/24/third-party-interventions-before-the-ecthr-a-rough-guide/ ნანახია 18.05.2019

[15]*კვაჭაძე/ჯუღელი/ ღვინჯილია/ლურსმანაშვილი,* სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტის (AMICUS CURIAE) როლი სამართალწარმოების პროცესში, მართლმსაჯულება და კანონი №1(61)/2019, 21.

თხელიძე საქართველოს წინააღმდეგ.[16](უფრო ვრცლად იხილეთ თავში: „სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტის დამკვიდრება სისხლის სამართლის პროცესში“). სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტის გამოყენების ფართო არეალი თავადვე მეტყველებს მის აქტუალურობაზე.[17]

2. ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტის შეტანის სამართლებრივი წინაპირობები

საქართველოში სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტი საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობაშიპირველად დაინერგა 2009 წელს. სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსის ამოქმედებასთან ერთად, 2010 წლის 1 ოქტომბრიდან, აღნიშნული ინსტიტუტი სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაშიც ამოქმედდა. რაც შეეხება ადმინისტრაციულ კანონმდებლობას, საპროცესო კოდექსში სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტის დანერგვამდე, „სასამართლო მეგობრის“ მოსაზრების წარდგენის უფლებამოსილება საქართველოს სახალხო დამცველს მიენიჭა „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანულ კანონში 2010 წლის 21 ივლისს განხორციელებული ცვლილებების შემდეგ. აღნიშნული კომპეტენციის ფარგლებში სახალხო დამცველს მიეცა საშუალება მიემართა სასამართლოსთვის და განსახილველ საკითხთან დაკავშირებით წარედგინა მოსაზრება, რომელიც მიმართული იქნებოდა სასამართლოს დასახმარებლად და არა რომელიმე მხარის პოზიციის მხარდასაჭერად.უნდა ითქვას, რომ თავდაპირველი რედაქციით ამ ფუნქციის შესრულება სახალხო დამცველს შეეძლო მხოლოდპირველ ინსტანციასა და სააპელაციო სასამართლოებში.ამჟამად მოქმედი რედაქციით „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ კანონის 21-ე მუხლის ე) ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლოს მეგობრის სტატუსით სახალხო დამცველს შეუძლია მიმართოს,როგორც საერთო სასამართლოების ნებისმიერ ინსტანციას, ისე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს.

საკანონმდებლო ბაზა მაინც ვერ იძლეოდა იმის საშუალებას, რომ სახალხო დამცველს ადმინისტრაციულ პროცესში წარედგინა სასამართლოს მეგობრის მოსაზრება, ამიტომ2014 წლის 15 დეკემბერს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა პარლამენტს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე, რომელიც ეხებოდა

---

[16]https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22fulltext%22:[%22Tkhelidze%22],%22itemid%22:[%22001-175519%22]} ნანახია 18.05.2019

[17]*კვაჭაძე/ჯუღელი/ ღვინჯილია/ლურსმანაშვილი,*სასამართლოსმეგობრისინსტიტუტის (AMICUS CURIAE) როლისამართალწარმოებისპროცესში, მართლმსაჯულებადაკანონი №1(61)/2019, 17.

ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში „სასამართლოს მეგობრის“ (Amicus Curiae) ინსტიტუტის შემოღებას. საქართველოს პარლამენტმა გაითვალისწინა სახალხო დამცველის წინადადება და 2015 წლის 3 ივლისს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებით, საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსს დაემატა მე-16[1]მუხლი, სახელწოდებით „სასამართლოს მეგობარი (Amicus Curiae)“.[18] აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებები, ვფიქრობთ, ხელს უწყობს სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტის როლის ამაღლებას ქართულ სამართლებრივ სივრცეში, რაც სავსებით მისაღებია.

2.1. სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტის შემოღება საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში

2009 წლის 22 ოქტომბრის ცვლილებებით, „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონს დაემატა ახალი თავი, „სასამართლოსმეგობრის ინსტიტუტი საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში,“ რომლის თანახმადაც, „ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს შეუძლია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტით დამტკიცებული ფორმით მიმართოს კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით, თავისი წერილობითი მოსაზრებით.“ ამავე მუხლის მე-2 ნაწილი ადგენს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებას სურვილისამებრ, გაიზიაროს ან არ გაიზიაროს სასამართლოს მეგობრის მოსაზრება, ხოლო, საჭიროების შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლოს უფლება აქვს გამოიყენოს სასამართლოს მეგობრის მიერ გამოგზავნილი მოსაზრება, რომელიც შესაძლებელია, ასევე, აისახოს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში. თუ საკონსტიტუციო სასამართლო სასამართლოს მეგობრის მოსაზრებას მნიშვნელოვნად მიიჩნევს, მას უფლება აქვს, გამოიძახოსიგი სასამართლო სხდომაზე დამატებითი კითხვების დასმის მიზნით.

2010 წლის 22 თებერვლის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის N76/2 დადგენილებით, საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტსაც დაემატა VIII პრიმა თავი - სახელწოდებით “სასამართლოს მეგობრისინსტიტუტი“. რეგლამენტის 281-ე მუხლი ითვალისწინებს სასამართლოს მეგობრის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის წესებს.

---

[18]http://www.ombudsman.ge/geo/tsinadadebebi/saxalxo-damcvelis-winadadeba-administraciul-processhi-sasamartlos-megobris-institutis-shemogebis-shesaxeb-saqartvelos-parlamentma-daamtkica
ნანახია 18.05.2019

ცვლილების განხორციელებიდან იმავე წელს საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში უკვე გამოყენებულ იქნა სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტი. 2010 წლის 28 ივნისს, საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა საქართველოს სახალხო დამცველის კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. დავის საგანს წარმოადგენდა „საქართველოს საკონსტიტუციო სამართალწარმოებისშესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის სიტყვების საქართველოში მცხოვრებ“ და „საქართველოს“ (რომელიც გრძელდება სიტყვებით „იურიდიულ პირებს“) კონსტიტუციურობა, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით. კონსტიტუციური სარჩელის მიხედვით, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“საქართველოს ორგანული კანონის ვალდებულბები ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტს.დასახელებული კანონის 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს ნორმატიული აქტის ან მისი ცალკეული ნორმების კონსტიტუციურობის თაობაზე საქართთველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებთან მიმართებით კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება აქვთ: საქართელოს მოქალაქეებს, საქართველოში მცხოვრებ სხვა ფიზიკურ პირებს და საქართველოს იურიდიულ პირებს. შესაბამისად, მოსარჩელის აზრით სადავო ნორმის მიხედვით, კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება არა აქვთ ფიზიკურ პირებს, რომლებიც არ არიან საქართელოს მოქალაქეები და ამავე დროს, არ ცხოვრობენ საქართველოში, აგრეთვე იურიდიულ პირებს, თუ ისინი არ არიან რეგისტრირებული საქართველოში.

აღნიშნულ საქმეში სასამართლოს მეგობრის სტატუსით ჩაერთო საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და სასამართლოს წარუდგინა წერილობითი მოსაზრება.სასამართლოს მეგობარმა გაამყარა მოსარჩელის პოზიცია, ვინაიდან მან სადავო ნორმა არაკონსტიტუციურად მიიჩნია.შეუძლებელია იმის თქმა, რამდენად დამაჯერებელი აღმოჩნდა სასამართლოსთვის სასამართლოს მეგობრის მოსაზრება, მაგრამ ფაქტია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2010 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილებით[19]კონსტიტუციური სარჩელი დაკმაყოფილდა.[20]

[19]იხ. საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის გადაწყვეტილება https://matsne.gov.ge/ka/document/view/1093155?publication=0 ნანახია 18.05.2019

[20]*ჩხეიძე*, სასამართლოს მეგობარი ქართულ სისხლის სამართლის პროცესში (Amicus curiae), მართლმსაჯულება და კანონი #3 (30)/2011, 136.

საკონსტიტუციო სასამართლოს ვებ.გვერდზე ატვირთულია სასამართლოს მეგობრის ფორმა[21] ***(იხ. დანართი#1),*** რომელიც შედგება ორი ნაწილისგან, ფორმალური ნაწილი და უშუალოდ მოსაზრებისთვის განკუთვნილი ნაწილი. ფორმალურ ნაწილში პირი ავსებს პირად/საკონტაქტო რეკვიზიტებს და იმ საქმის დასახელებას, რომელთან დაკავშირებითაც ჩამოყალიბებულია მოსაზრება, ხოლო მეორე ნაწილი მთლიანად ეთმობა იმ ინფორმაციებსა და არგუმენტებს, რომლებითაც სასამართლოს მეგობარი ასაბუთებს საქმესთან დაკავშირებით გამოთქმულ მოსაზრებას.

2.2. სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტის დამკვიდრება სისხლის სამართლის პროცესში

საქართველოს სისხლის სამართლის პროცესში სასამართლოს მეგობრის მიერ მოსაზრების წარდგენის პროცესუალური გარანტიები სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლით არის დაცული.ამ მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, „დაინტერესებულ პირს, რომელიც არ არის მხარე განსახილველ სისხლის სამართლის საქმეში, უფლება აქვს, საქმის არსებით განხილვამდეარანაკლებ 5 დღით ადრე სასამართლოს წარუდგინოს საკუთარი წერილობითი მოსაზრება საქმესთან დაკავშირებით.[22] სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტის შესახებ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოქმედი ნორმა ეფუძნება სასამართლოს მეგობრის ამერიკულ კონცეფციას დასრულად იზიარებს მის სულისკვეთებას. სასამართლოს მეგობარს ევალება საქმის შესახებ სამართლებრივი თუ ფაქტობრივი ინფორმაციის წარდგენა. ინფორმაციული ელემენტი ქართულ მოდელშიც დომინირებს. მთავარი აქცენტი გადატანილია სასამართლოს მეგობრის სუბიექტის მიერ მოსაზრების წარდგენის მოტივაციაზე. კერძოდ, იგი არ უნდა იყოს პროცესის მხარე და მის მიზანს არ უნდა წარმოადგენდეს პროცესის რომელიმე მონაწილის მხარდაჭერა.[23]

სისხლის სამართლის პროცესში სასამართლოს მეგობარი პროცესის მონაწილეა. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მის სამართლებრივ რეგლამენტაციას ახდენს თავში „მოწმე და სისხლის სამართლის პროცესის

---

[21]https://www.constcourt.ge/ge/court/legislation/sasamartlos-megobaris-forma.page 18.05.2019

[22]განმარტებითი ბარათი (იხ.https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/66715) საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ,3.

*[23]კვაჭაძე/ჯუღელი/ ღვინჯილია/ლურსმანაშვილი,*სასამართლოსმეგობრისინსტიტუტის (AMICUS CURIAE) როლისამართალწარმოებისპროცესში, მართლმსაჯულებადაკანონი №1(61)/2019,24.

სხვა მონაწილენი.“[24]როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სახალხო დამცველმა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წარადგინა სასამართლოს მეგობრის მოსაზრება, სასამართლომ დააკმაყოფილა სახალხო დამცველის თხოვნა საქმეში მესამე მხარედ ჩართვის თაობაზე, საჩივარი შეეხება 2014 წელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორის მარიკა წივწივაძის მკვლელობას ყოფილი მეუღლის მიერ, რომელმაც შემთხვევის ადგილზე სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. სახალხო დამცველმა აღნიშნული მექანიზმი პირველად გამოიყენა. ვინაიდან მესამე მხარედ ჩართვა გულისხმობს ევროპული სასამართლოსთვის მესამე პირის მიერ კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაციის მიწოდების შესაძლებლობას, სახალხო დამცველმა ევროპულ სასამართლოს მიაწოდა ინფორმაცია 2014-2016 წლებში საქართველოში მომხდარი ფემიციდის შემთხვევებზე, ასევე ფემიციდის პრევენციის, მონიტორინგისა და რისკების შეფასების მექანიზმისა და საგამოძიებო ორგანოების წინაშე არსებული პრობლემების შესახებ.[25]

აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველი საქართველოშიც აქტიურად გამოდის სასამართლოს მეგობრის სტატუსით სასამართლოებში სისხლის სამართლის საქმეებზე და მოსამართლე ხშირად ითვალისწინებს სასამართლოს მეგობრის მოსაზრებასმაგ.თბილისის საქალაქო სასამართლომ სახალხო დამცველის სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება გაიზიარა, კერძოდ, 2017 წლის 10 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ ცრუ დასმენასა და ცრუ ჩვენებაში ბრალდებული გ.ო.–ს მიმართ გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა. განაჩენის მიხედვით, სასამართლომ სრულად გაიზიარა სახალხო დამცველის მოსაზრება. სახალხო დამცველმა მიუთითა, რომ სახალხო დამცველისთვის (თუნდაც ცრუ) ინფორმაციის მიწოდების გამო, პატიმრის დამატებით პასუხისგებაში მიცემის პრაქტიკა ეწინააღმდეგება წამების აკრძალვის კუთხით სახელმწიფოს მიერ ნაკისრ ვალდებულებებს. დანაშაულის ფაქტის დაუდასტურებლობის შემთხვევაში პატიმრის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყება „მსუსხავი ეფექტის“ მატარებელი იქნებოდა და მკვეთრად შეზღუდავდა პატიმართა ნდობას სახელმწიფო სტრუქტურებისადმი.[26]სახალხო დამცველის მოსაზრებებში შეჯამებულია

---

[24]*გორგოძე,* სასამართლოს მეგობარი-სპეციალური ცოდნით აღჭურვილი პირების კონსულტირება მართლმსაჯულებისთვის თუ მხარეთა პოზიციების განმტკიცების ინსტიტუტი,მაია ივანიძის 50 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, 99.

[25]http://ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/saxalxo-damcveli-evropuli-sasamartlos-mier-gansaxilvel-diskriminaciastan-dakavshirebul-saqmeshi-mesame-mxared-chaerto ნანახია 18.05.2019

[26]http://www.ombudsman.ge/geo/sasamartlo-megobris-mosazreba/tbilisis-saqalaqo-sasamartlom-saxalxo-damcvelis-sasamartlos-megobris-amicus-curiae-mosazreba-gaiziara ნანახია 18.05.2019

ადამიანის ევროპული სასამართლოსა და შიდა სასამართლოს ცალკეული გადაწყვეტილებებით შექმნილი პრაქტიკა, რაც წარდგენილ მოსაზრებას მოსამართლისთვის საყურადღებოს ხდის.

2.3. სახალხო დამცველის საკანონმდებლო წინადადება

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს სახალხო დამცველის უფლებას, ცალკეულ შემთხვევებში შეასრულოს სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) ფუნქცია საერთო სასამართლოებსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებდა სასამართლოს მეგობრის მიერ მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობას. აღნიშნული ქმნიდა სამართლებრივ ვაკუუმს, რაც ხელს უშლიდა საქართველოს სახალხო დამცველს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების რეალიზებაში. იმ შემთხვევაშიც კი, თუ სახალხო დამცველი მოსაზრებას წარადგენდა ადმინისტრაციულ კანონმდებლობას დაქვემდებარებულ საკითხებთან დაკავშირებით, მოსამართლე ვერ შეძლებდა განეხილა ან გაეზიარებინა იგი.[27]

2014 წლის 15 დეკემბერს, საქართველოს სახალხო დამცველმა საკანონმდებლო წინადადებით მიმართა საქართველოს პარლამენტს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ, რომელიც ეხებოდა ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში „სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტის შემოღებას.წარდგენილ საკანონმდებლო წინადადებაში შემდეგი არგუმენტები იყო მითითებული: „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით, სახალხო დამცველი ზედამხედველობას უწევს საქართველოს ტერიტორიისა და მისი იურისდიქციის ფარგლებში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას. შესაბამისად, სახალხო დამცველის აპარატი მიზნად ისახავს გამოავლინოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის ფაქტები და ხელი შეუწყოს დარღვეული უფლებების აღდგენას. აღნიშნულ პროცესში, სახალხო დამცველის აპარატის უფლებამოსილება „სასამართლოს მეგობრის“ ინსტიტუტის გამოყენებით მიმართოს სასამართლოს, ერთ-ერთი უმიშვნელოვანესი ბერკეტია. ვინაიდან, “Amicus Curiae“-ს გამოყენება საშუალებას აძლევს სახალხო დამცველს, სასამართლოს მიაწოდოს ნორმატიული ან ფაქტობრივი სახის ინფორმაცია, რომლებიც

[27]განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ,2.

ადამიანის უფლებებთან უშუალოდ არის დაკავშირებული. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია საქართველოს სახალხო დამცველს საშუალება ჰქონდეს გამოიყენოს სასამართლო მეგობრის ინსტიტუტი არა მხოლოდ სისხლის სამართლისა და საკონსტიტუციო სამართლის საქმეებზე, არამედ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებითაც."[28]

იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა პირველი მოსმენისთვის განიხილა კანონპროექტი „საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ."სხდომაზე მე-16 პრიმა მუხლი-სასამართლოს მეგობარი (Amicus Curiae) წარმოდგენილი იყო შემდეგი რედაქციით:

1. ნებისმიერ პირს, რომელიც არ არის მხარე ან მესამე პირი განსახილველ საქმეში, უფლება აქვს, საქმის არსებით განხილვამდე არანაკლებ 5 დღით ადრე სასამართლოს წარუდგინოს საკუთარი წერილობითი მოსაზრება ამ საქმესთან დაკავშირებით.
2. წერილობითი მოსაზრების წარდგენის მიზანი უნდა იყოს არა საქმეში რომელიმე მონაწილის მხარდაჭერა, არამედ იგი უნდა დაეხმაროს სასამართლოს, სათანადოდ შეაფასოს განსახილველი საკითხი. თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ წერილობითი მოსაზრება არ არის შედგენილი ამ მუხლის მოთხოვნათა დაცვით, იგი მას არ განიხილავს.
3. სასამართლო არ არის ვალდებული გაიზიაროს წერილობით მოსაზრებაში მოყვანილი არგუმენტები, თუმცა, თუ სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს მას უფლება აქვს, გამოიყენოს სასამართლოს მეგობრის მიერ გამოგზავნილი მოსაზრება, რომელიც შესაძლებელია აისახოს ასევე გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში.
4. სასამართლო უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით ან/და მხარის და წერილობითი მოსაზრების ავტორის წინასწარი თანხმობით საქმის არსებით განხილვაზე გამოიძახოს წერილობითი მოსაზრების ავტორი ზეპირი განმარტების მისაცემად.

მე-16 პრიმა მუხლის მე-4 პუნქტთან დაკავშირებით, გამოითქვა სხვადასხვა მოსაზრებები, საბოლოოდ კი აღნიშნული პუნქტი შემდეგი რედაქციით ჩამოყალიბდა: „სასამართლო უფლებამოსილია საქმის არსებით განხილვაზე გამოიძახოს წერილობითი მოსაზრების ავტორი ზეპირი განმარტების მისაცემად". იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა მხარი დაუჭირა პროექტის პლენარულ სხდომაზე გატანას.[29]

---

[28]იქვე

[29]http://www.parliament.ge/ge/saparlamento-saqmianoba/komitetebi/iuridiul-sakitxta-komiteti-146/axali-ambebi-iuridiuli/sakonstitucio-sasamartlos-gadawyvetilebis-safudzvelze-sisxlis-samartlis-saproceso-kodeqsshi-cvlileba-sheva.page?fbclid=IwAR0zAmGGJ9BHIyKBZZH4jE0-Sz_XmOGYMYTC4NvbblmFrSusL1k2LyMOQ68 ნანახია 18.05.2019

საბოლოო ჯამში, საქართველოს პარლამენტმა გაითვალისწინა სახალხო დამცველის საკანონმდებლო წინადადება და შეიქმნა სათანადო პროცესუალური გარანტიები, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების რეალიზებისთვის.[30]2015 წლის 3 ივლისს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებით, საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსს დაემატა მე-16 პრიმა მუხლი, რომელიც საშუალებას აძლევს არა მხოლოდ სახალხო დამცველს, არამედ ნებისმიერ პირს, საქმის არსებით განხილვამდე სასამართლოს წარუდგინოს საკუთარი წერილობითი მოსაზრება.

სასამართლოსთვის მოსაზრების მიმართვის უფლებამოსილება საკმაოდ მნიშვნელოვანი ბერკეტია სახალხო დამცველის ხელში, იგი აწვდის ადამიანის უფლებების შესახებ ინფორმაციას შესაბამის სასამართლოს, რომელიც იხილავს საქმეს. სახალხო დამცელი ამ დროს წარმოადგენს სამართლის პრინციპის -“Jura Novis Curia”-ს („მოსამართლემ იცის კანონი“) უზრუნველმყოფს, რადგან იგი აწვდის მოსამართლეს ინფორმაციას იმ საკანონმდებლო საკითხებზეც (რომელიც თავის მხრივ ნორმატიული ან ფაქტობრივია), რომლებიც ადამიანის უფლებებთანაა დაკავშირებული.[31]

3. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის ნოვაციის მიზნები და გარანტიები

როგორ და რატომ გახდა სასამართლოს მეგობრის ძველი რომაული ინსტიტუტი ასეთი მნიშვნელოვანი მსოფლიო მასშტაბით? ნუთუ ასე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჰყავდეს მეგობარი სასამართლოს?[32] ადმინისტრაციული პროცესი გამოირჩევა ინკვიზიციური ბუნებით, რადგან საჯარო ნორმების დაცვაზეა ორიენტირებული, რითაც განსხვავდება სამოქალაქო პროცესისგან, სადაც ხდება კერძო სამართლებრივი ინტერესების დაცვა. თუ ადმინისტრაციული დავის განხილვის პროცესში სასამართლოს არ დააკმაყოფილებს მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები და მიიჩნევს, რომ არასაკმარისია საქმის გარემოებების ობიექტური გამოკვლევისა და საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დასადგენად, იგი თავისი ინიციატივით უზრუნველყოფს მტკიცებულებების მოძიებასა და გარემოებების გამოკვლევას. შესაბამისად, ადმინისტრაციულ პროცესში

---

[30]იურიდიულ საკითხთა კომიტეტის პრესრელიზი *(იხ.*http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/31224),1.

[31]*ბურჯანაძე,* 2008-2013 წლებში საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გაცემულ რეკომენდაციათა შესრულების ანგარიში და ანალიტიკური კვლევა,16.

[32]*Mohan,* The Amicus Curiae: Friends No More? Singapore Journal of Legal Studies #2,2010, 353.

აქტიურ როლს ასრულებს სასამართლო, რომელიც უფლებამოსილია, საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე, თავისი ინიციატივით შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები, მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციისა და მტკიცებულებების წარმოსადგენად.[33]

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კონსტიტუციითა და რიგი საერთაშორისო კონვენციებით გარანტირებული ადამიანის უფლებების ძირითად მიზანს წარმოადგენს საჯარო ხელისუფლების მიერ ადამიანის უფლებათა არამართლზომიერი შეზღუდვის აკრძალვა. ამიტომ, ადმინისტრაციული სამართალწარმოებისას, სადაც პროცესის მხარე არის სახელმწიფო, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი პირის შემოყვანა, როგორიც არის სასამართლოს მეგობარი; [34] ადმინისტრაციული სასამართლოსათვის მინიჭებული უფლება, საკუთარი ინიციატივით შეაგროვოს მტკიცებულებები, ემსახურება საჯარო მმართველობის კანონიერების პრინციპის დაცვას.[35]ადმინისტრაციულ პროცესში აღნიშნული ინსტიტუტის არსებობის აუცილებლობა თავად ადმინისტრაციული სამართლის ბუნებიდან გამომდინარეობს.

ზოგჯერ გვხვდება საქმეები, სადაც, გარდა კონკრეტული ინტერესისა, არსებობს დიდი საზოგადოებრივი ინტერესიც. ასეთ დროს სასამართლო გადაწყვეტილებას შეუძლია სერიოზული გავლენა მოახდინოს ქვეყანაში არსებულ მდგომარეობაზე; სასამართლოს გადაწყვეტილებით ყალიბდება პრაქტიკა, რომელიც ეხება მრავალი ადამიანისთვის, ინტერესთა გარკვეული ჯგუფებისთვის, მთელი საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საკითხს. სწორედ,ამ დროს ერთვება საქმეში სასამართლოს მეგობარი, პირი, რომელსაცარა აქვს კონკრეტული ინტერესი, მაგრამ კარგად იცის, რა შედეგს მოუტანს ამ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება საზოგადოებას.[36]იგი სასამართლოსთვის დამატებითი სასარგებლო და ობიექტური ინფორმაციის მიმწოდებლის როლშია. სასამართლოს მეგობრის სახით პროცესში კიდევ ერთი საქმის არამონაწილე, დამოუკიდებელი პირი შემოდის.[37]

სასამართლოსადმი საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული მიმართვის გზით უფლების დაცვა გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების სრულყოფილ გადამოწმებას ფაქტობრივი (მათ შორის, შეფასების საფუძვლების) და სამართლებრივი

---

[33]*ყალიჩავა,* ხუბუა/ყალიჩავა (რედ.), ადმინისტრაციული მეცნიერების სახელმძღვანელო,363.

[34]განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, გვ.2.

[35]*ტურავა,*ხუბუა/ყალიჩავა (რედ.), ადმინისტრაციული მეცნიერების სახელმძღანელო,369.

[36]*გორგოძე,* სასამართლოს მეგობარი-სპეციალური ცოდნით აღჭურვილი პირების კონსულტირება მართლმსაჯულებისთვის თუ მხარეთა პოზიციების განმტკიცების ინსტიტუტი, მაია ივანიძის 50 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, 85.

[37]*ხარიტონიშვილი,* სადისერტაციო ნაშრომი-მესამე პირები სამოქალაქო პროცესში,179.

თვალსაზრისით.[38]აქედან გამომდინარე, ადმინისტრაციული პროცესი გაგებულ უნდა იქნას, როგორც საშუალება, რომელიც უზრუნველყოფს თითოეული პირის სამართლებრივ დაცვას ადმინისტრაციის მართლსაწინააღმდეგო ღონისძიებისაგან და რომელიც ,ამავე დროს, როგორც აუცილებელი შედეგი, ემსახურება ადმინისტრაციის ქმედებების კონტროლის განხორციელებას.[39]

ადმინისტრაციული სასამართლო პროცესის ერთ-ერთ თავისებურებას, რომელიც არსებითად განასხვავებს მას სამოქალაქო პროცესისგან(დავსძენთ, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტს), წარმოადგენს გამოკვლევის პრინციპი. ამის შესაბამისად, ადმინისტრაციული სასამართლო თავისი მოვალეობების ძალით განიხილავს საქმის გარემოებებს.ის არაა შეზღუდული იმ განმარტებებითა და მტკიცებულებებით, რომელთაც მონაწილეები წარადგენენ.[40] განსაკუთრებული დატვირთვა აქვს სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტს, რადგან ადმინისტრაციული სამართალწარმოებისას მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა უმნიშვნელოვანესი ბერკეტია სახალხო დამცველისა თუ საზოგადოების ხელში.

„სასამართლოს მეგობრის“ ინსტიტუტი ხელს უწყობს სასამართლოს გადაწყვეტილებების ხარისხის ამაღლებას, რადგან სასამართლო უფრო მეტ წყაროს ეყრდნობა. ამასთანავე, იგი ზრდის საზოგადოების ჩართულობას მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში და ,ამავე დროს, სასამართლო გადაწყვეტილების მიმართ ნდობას.[41]არგუმენტირებულად დასაბუთებული გადაწყვეტილება საშუალებას აძლევს მხარეებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს, ჩასწვდნენ საქმესთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიმღები პირის მსჯელობის თანმიმდევრობას.[42] სასამართლოს მეგობრის მიერ წარდგენილი მოსაზრება ამაღლებს გადაწყვეტილების დასაბუთების ხარისხს, რაც საბოლოოდ დადებითად აისახება მართლმსაჯულების განვითარებაზეც.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი მე-16[1] მუხლი მოიცავს გარანტიებს, რომლის დაცვის შემთხვევაშიც სასამართლოს მეგობრის სტატუსით მოქმედი სუბიექტი იქნება იმ ღირებულებების

---

[38]*ტურავა,* ხუბუა/ყალიჩავა (რედ.), ადმინისტრაციული მეცნიერების სახელმძღანელო,367.

[39]*ცხადაძე,* წარმომადგენლობის ინსტიტუტის საჭიროება ადმინისტრაციულ სამართალში,სამართლის ჟურნალი #1, 2012, 303.

[40]*ღვამიჩავა,* სადისერტაციო ნაშრომი-საკასაციო საჩივრის დასაშვებობა ადმინისტრაციულ პროცესში, 52.

[41]http://www.ombudsman.ge/geo/tsinadadebebi/saxalxo-damcvelis-winadadeba-administraciul-processhi-sasamartlos-megobris-institutis-shemogebis-shesaxeb-saqartvelos-parlamentma-daamtkica ნანახია 18.05.2019

[42]*ხარშილაძე/ოვსიანიკოვა,*საზღვარგარეთის ქვეყნების ადმინისტრაციული სამართალი, 582.

მატარებელი,რომლებიც ამ ინსტიტუტის მნიშვნელობაში ჩადო კანონმდებელმა. სასამართლოს მეგობრის სტატუსით მოსარგებლე პირისთვის წაყენებული მოთხოვნებია:

1. იგი არ უნდა იყოს განსახილველ საქმეში მხარე ან მესამე პირი (აღნიშნული ფორმულირება მიზნად ისახავს საქმის შედეგებით დაინტერესებული პირების სასამართლოს მეგობრის სტატუსით პროცესში ჩართვის დაუშვებლობას).
2. წერილობითი მოსაზრების წარდგენის მიზანი არ უნდა იყოს პროცესის რომელიმე მონაწილის მხარდაჭერა (აღნიშნული ემსახურება სასამართლოს მეგობრის, როგორც ნეიტრალური ინფორმატორის სტატუსის განმტკიცებას და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებას).
3. მოსამართლის თავისუფალი ნება (ვინაიდან სასამართლოს მეგობრის მოსაზრება არ ატარებს მავალდებულებელ ხასიათს, მოსამართლე არ არის ვალდებული გაიზიაროს მოსაზრებაში მოყვანილი არგუმენტები რაც უზრუნველყოფს მოსამართლის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის დაცვას).

ზემოთ ჩამოთვლილ გარანტიებს ქვეთავებში უფრო დეტალურად მიმოვიხილავთ.

3.1. მოსაზრების წარდგენაზე უფლებამოსილ პირთა წრე

„ნებისმიერ პირს, რომელიც განსახილველ საქმეში მხარე ან მესამე პირი არ არის,აქვს უფლება, სასამართლოს წარუდგინოს საკუთარი წერილობითი მოსაზრება ამ საქმეთან დაკავშირებით.“(სასკ-ის მე-16[1] მუხლის პირველი ნაწილი). აღნიშნული ნორმიდან ნათლად ჩანს, რომ სასამართლოს მეგობრის სტატუსი გამორიცხავს პროცესში მხარედ ან მესამე პირად ყოფნას. ადმინისტრაციული პროცესის მონაწილე თავისი არსით უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე ადმინისტრაციული პროცესის მხარე. კერძოდ, ადმინისტრაციული პროცესის მონაწილეები, მხარეების გარდა შესაძლებელია იყვნენ, მესამე პირები, ექსპერტები, თარჯიმნები. ამდენად, ადმინისტრაციულ პროცესში შეიძლება მონაწილეობდეს სამართალწარმოების რამდენიმე სუბიექტი, მაგრამ მხარე ყოველთვის ორია- მოსარჩელე და მოპასუხე.[43]

ადმინისტრაციული პროცესის მონაწილეთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ ადმინისტრაციული პროცესის მხარეებს. მხარეებად შეიძლება ჩაითვალონ, ერთი მხრივ პირები,რომელთაც კანონით დაცული

[43]საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკული რეკომენდაციები ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის საკითხებზე მაგისტრატი მოსამართლისათვის, 2010, 45.

უფლებები და მოვალეობები გააჩნიათ და მეორე მხრივ პირები, ორგანო ან ორგანიზაცია, რომელიც დგას მეორე მხარის დარღვეული უფლების საპირისპიროდ.[44] სწორედ ამიტომ არის შეზღუდვა, რომ სასამართლოს მეგობარი არ უნდა იყოს მხარე, ვინაიდან ამ ინსტიტუტის არსი არ გულისხმობს პროცესის რომელიმე მონაწილის მხარდაჭერას, არამედ სასამართლოს მეგობრის ფუნქცია ნეიტრალური პოზიციის დაკავებაა, რის ფარგლებშიც მას ეძლევა საშუალება სასამართლოს მიაწოდოს საქმის გადაწყვეტისთვის საჭირო ინფორმაცია და ამით გაუწიოს დახმარება მოსამართლეს. ტერმინიდანაც ჩანს, რომ აღნიშნული პირი უნდა დაეხმაროს სასამართლოს და არა მხარეებს, იგი უნდა იყოს კარგი ინფორმატორი- ვინაიდან მისი ქმედება არის სასამართლოს ინფორმირება იმ ფაქტებსა და სიტუაციებზე, რაც შესაძლოა გამორჩენოდათ და მისი ჩარევის გარეშე მსჯელობის საგანი არ გამხდარიყო.[45]

სასამართლოს მეგობრის სტატუსი აგრეთვე გამორიცხავს მესამე პირად ყოფნას, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „მესამე პირებად ითვლებიან ის სუბიექტები რომელთა ინტერესებსაც შეიძლება შეეხოს სასამართლოს გადაწყვეტილება,“ამიტომ სასამართლო მთავარი სხდომის დამთავრებამდე უფლებამოსილია მათ აცნობოს ადმინისტრაციული პროცესის დაწყების შესახებ და ჩააბას საქმეში მესამე პირად.[46] სასკ-ის მე-16 მუხლის მე-2[1] ნაწილის თანახმად, ყოველ დაინტერესებულ პირს შეუძლია მიმართოს სასამართლოს განაცხადებით, საქმეში მესამე პირად ჩართვის თაობაზე.

მესამე პირებსა და სასამართლოს მეგობარს ერთმანეთისგან მიჯნავს ის, რომ მითითება არაა პირის ინტერესზე რომელიმე მხარესთან მიმართებაში.[47] ქართველი მოსამართლეების განმარტავენ[48]თუ როგორ და რა სტატუსით ხდება პრაქტიკაში დაინტერესებული პირების ჩაბმა პროცესში: „ადმინისტრაციულ პროცესში ხშირად ვაბამთ მესამე პირებს, მაგალითად, როცა მშენებლობასთან, ან გარემოსთან დაკავშირებულ საქმეს ვიხილავთ, თუპირი მოვიდა და დაინტერესებულია აღნიშნული დავით, სასკი-ს მე-16 მუხლის პირველი ნაწილით ვაბამთ. თუ მეზობელია,ან კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს უნგრევენ და უნდათ რომ კორპუსი ააშენონ მისი საცხოვრებლის წინ, ასეთი პირი მოდის სასამართლოში და აცხადებს

---

[44]*ცხადაძე,*სადისერტაციო ნაშრომი-წარმომადგენლობის ინსტიტუტი ადმინისტრაციულ სამართალში,40.

[45]*Covey,* Amicus Curiae: Friend of the Court, DePaul Law Review #30,1959, 30.

[46]საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკული რეკომენდაციები ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის საკითხებზე მაგისტრატი მოსამართლისათვის,2010, 52.

[47]*ხარიტონიშვილი,* სადისერტაციო ნაშრომი-მესამე პირები სამოქალაქო პროცესში,181.

[48]თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლე გიორგი ტყავაძე.

არსებული მდგომარეობის შესახებ, ამასთანგამოთქვავს ინტერესს აღნიშნულ დავაში ჩაბმასთან დაკავშირებით. პირს ვაბამთ მესამე პირად პროცესში და ის უკვე როგორც სასამართლოს მეგობრის სტატუსით კი აღარ შემოდის, არამედ მხარეა, სუბიექტი რომელიც მოსაზრებას წარმოადგენს,ვინაიდან როგორც კი ინტერესი ჩნდება სასამართლოს მეგობარს ვეღარ გამოვიყენებთ. თუ არსებობს ინტერესი მოქალაქის მხრიდან და თუნდაც მინიმალურ დონეზე დასაბუთება იმისა, რომ ინტერესი გააჩნია ამ დავასთან დაკავშირებით, მეგობრის სტატუსით ვეღარ სარგებლობს, არამედ საქმეში ერთვება როგორც მესამე პირი.“

სასამართლო არასავალდებულო მონაწილეთა კატეგორიას განეკუთვნება ექსპერტი, რომლის მოწვევის საჭიროება დგება მაშინ, თუ საქმის განხილვისას საჭიროა სპეციალური ცოდნა, რაც მოსამართლეს არ გააჩნია. ექსპერტიზის ჩატარების მოთხოვნით სასამართლოს შეიძლება მიმართოს მხარემ, ასევე თავად სასამართლოც უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით დანიშნოს ექსპერტიზა. ექსპერტი უფლებამოსილია, გაეცნოს საქმის მასალებს იმ ფარგლებში, რაც საჭიროა ექსპერტიზის ჩასატარებლად. მას ასევე უფლება აქვს დაესწროს სასამართლო სხდომას და კითხვით მიმართოს მხარეებს, მოისმინოს მათგან განმარტებები ექსპერტიზის საგანთან დაკავშირებით. ადმინისტრაციულ პროცესში აგრეთვე შეიძლება მონაწილეობდეს სპეციალისტი. სპეციალისტის მონაწილეობა დაკავშირებულია ცალკეული საპროცესო მოქმედებების განხორციელებასთან. რაც შეეხება მოწმეს სპეციალისტისგან განსხვავებით ის არ არის პირი, რომელიც ფლობს გარკვეულ ინფორმაციას და შეუძლია უარყოს ან დაადასტუროს საქმის განხილვასთან დაკავშირებული ფაქტები. მოწმის ჩვენება ისევე როგორც ექსპერტის დასკვნა წარმოადგენს მტკიცებულებას.[49]ექსპერტის დასკვნა სავალდებულოა მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ეს კანონით პირდაპირ არის გათვალისწინებული. ყველა სხვა შემთხვევაში ექსპერტის დასკვნას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა და ადმინისტრაციული ორგანო მას აფასებს სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში.[50]თავისი ფუნქციებით Amicus curiae თითქოს ექსპერტს უთანაბრდება, მაგრამ ის არ არის არც ექსპერტი და არც სპეციალისტი.[51]არ შეიძლება მტკიცების სუბიექტად განვიხილოთ სასამართლოს მეგობარი, ვინაიდან მისი ამოცანა არ არის რაიმეს მტკიცება, რომელიმე მხარის

---

[49]*ლორია/* კოპალეიშვილი/ტურავა/ხარშილაძე/ლორია/გვარამაძე/ღვამიჩავა, (რედ.),ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, 203.

[50]საქართველოს უზენაესის სასამართლოს პრაქტიკა ადმინისტრაციულ საქმეებზე, 2016, 105.

[51]*ჩხეიძე,* სასამართლოს მეგობარი ქართულ სისხლის სამართლის პროცესში (Amicus curiae), მართლმსაჯულება და კანონი #3 (30)/2011, 137.

სასარგებლოდ. სპეციალისტისგან და ექსპერტისგან განსხვავებით სასამართლოს მეგობარს არ მოეთხოვება სპეციალური პროფილის ცოდნა და უნარები რაიმეს სამტკიცებლად, მის მიერ სასამართლოსთვის მიწოდებული მოსაზრება წარმოადგენს ინფორმაციას და არ შეიძლება იგი მკტიცებულებად ჩაითვალოს.

საერთო სამართლის იურისდიქციებში, განსაკუთრებით თანამეგობრობის ქვეყნებში, სასამართლოს მეგობარმა დიდწილად შეინარჩუნა ფუნქცია. რაც შეეხება ამერიკის შეერთებულ შტატებს, მან მოირგო სხვადასხვა როლი, მათ შორისაა „Liticating amicus curiae", ლობისტი, „ინტერვენტორი" (Interventor) და ადვოკატი.[52]აღსანიშნავია, ის ფაქტიც, რომ აშშ-ში სასამართლოს მეგობრის წერილობითი მოსაზრება შეიძლება წარედგინოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ორივე მხარის წინასწარი თანხმობა ამის თაობაზე, ან სასამართლოს ნებართვა, სასამართლოს მეგობრის შუამდგომლობის საფუძველზე, მხარეთა თანხმობა და სასამართლოს ნებართვა არ არის საჭირო, როცა წერილობითი მოსაზრების წარდგენა სურს ამერიკის მთავრობას, მთავრობის წევრს ან სამთავრობო დაწესებულებას, შტატს,ტერიტორიას, თანამეგობრობას ან ოლქს.[53]

სადაო საკითხს წარმოადგენს ქართულ პრაქტიკაში თუ შეუძლიათ სასამართლოს მეგობრის სტატუსით მოსაზრების წარდგენა მთავრობის წევრებს, სამთავრობო დაწესებულებებს და სხვა სახელმწიფო ორგანოს წარმომადგენლებს. ვინაიდან განსხვავებით აშშ-ს მაგალითისგან, საქართველოს მეოთხე პრეზიდენტს გიორგი მარგველაშვილს მოწინააღმდეგეები გამოუჩნდნენ, როდესაც მან მოინდომა სასამართლოს მეგობრის სტატუსით სასამართლოსთვის მიმართვა (მართალია კონკრეტული შემთხვევა საკონსტიტუციო სამართალწარმოებას ეხება, მაგრამ კვლევის არსიდან გამომდინარე ვფიქრობთ,აღნიშნული შემთხვევა მნიშვნელოვანია).

მოკლედ საქმის მასალები: 2017 წლის 20 მარტს „ოპერატიული-სამძებრო საქმიანობის შესახებ " ე.წ. მოსმენების კანონს საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ვეტო დაადო და მოტივირებული შენიშვნები პარლამენტს გადაუგზავნა. თუმცა, პარლამენტმა ეს შენიშვნები არ გაიზიარა, პრეზიდენტის ვეტოს დაძლევა მოახერხა და კანონი 2017 წლის 22 მარტს მიიღო. 2017 წლის აპრილში საქართველოს 326 მოქალაქემ (მათ შორის, სახალხო დამცველმა, ოპოზიციური პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა), საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელი შეიტანეს. მათი პოზიციით, აღნიშნული კანონი არაკონსტიტუციურია. მოგვიანებით, საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა,

---

[52]*Mohan,*The Amicus Curiae: Friends No More?Singapore Journal of Legal Studies #2,2010, 373.
[53]*კოტეტიშვილი,* სუბარი (რედ.), Amicus curiae სასამართლოს მეგობარი,13.

პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, რომ ამ პროცესზე ის საკონსტიტუციო სასამართლოს მეგობრის სტატუსით მიმართავდა.[54] პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე გიორგი მარგველაშვილის ინიციატივას გამოეხმაურა, რომსასამართლოს მეგობრის სტატუსი შეუთავსებელია პრეზიდენტის ინსტიტუტთან, ვინაიდან სასამართლოს მეგობარი შეიძლება იყოს არსებითად არასახელისუფლებო სუბიექტი.[55] გაურკვეველია და დაუსაბუთებელია პარლამენტის თავმჯდომარის პოზიცია ვინაიდან, არც საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ საქართველოს ორგანულ კანონში,არც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში და არც ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში „სასამართლოს მეგობრის" სუბიექტზე არ არის მითითებული მსგავსი შეზღუდვა. ანუ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართულ კანონმდებლობაში მოქმედი ფორმით ზოგადად სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტს არ გააჩნია კონკრეტული აკრძალვები მთავრობის, მთავრობის წევრს, ადმინისტრაციული ერთეულის, ან სხვა სახელმწიფო ორგანოს წარმომადგენელი პირის მიერ სასამართლოს მეგობრის მოსაზრების წარდგენის თაობაზე.

იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ იურიდიული დახმარების სამსახურის განმარტებით, არ არსებობს არანაირი შეზღუდვა, რომელიც პრეზიდენტს ამ სტატუსით სარგებლობის საშუალებას არ მისცემდა, შესაბამისად, რადგან ეს აკრძალული არ არის ე.ი. დაშვებულია. მათივე შეფასებით, გამომდინარე იქიდან, რომ კანონებს პარლამენტი იღებს, საკონსტიტუციო სასამართლოს პროცესში მეორე მხარე პარლამენტია და არა პრეზიდენტი, შესაბამისად, პრეზიდენტის მხარედ განხილვა არასწორი მიდგომაა. საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი არაფერს გვეუბნება, აქვს თუ არა მსგავსი კომპეტენცია საერთაშორისო ორგანიზაციებს ან სახელმწიფო დაწესებულებებს. მიუხედავად ამისა, არის შემთხვევები, როდესაც სასამართლოს მეგობრის სტატუსით მიმართავდნენ არა იურიდიული და ფიზიკური პირები, არამედ სახელმწიფო დაწესებულებები და თანამდებობის პირები. მაგალითად, სახალხო დამცველი, როგორც თანამდებობის პირი მიმართავდა და მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს, სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით. თუმცა, ამავე დროს, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ კანონისგან განსხვავებით, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" ორგანული კანონით, სახალხო დამცველს მსგავსი უფლებამოსილება გააჩნია.

[54] http://www.tabula.ge/ge/story/119079-prezidenti-mosmenebze-sakonstitucios-sasamartlos-megobris-statusit-mivmartav ნანახია 18.05.2019

[55] https://factcheck.ge/ka/story/29514-sasamarthlos-megobris-statusi-sheuthavsebelia-prezidentis-institutthan-es-kanonmdeblobas-pirdapir-etsinaaghmdegeba ნანახია 18.05.2019

ამავდროულად, საკონსტიტუციო სასამართლოს აქვს გამოცდილება, როდესაც სასამართლოს მეგობრის მოსაზრებები მიიღო ვენეციის კომისიისგან. [56]

მართალია კანონი არ აკონკრეტებს ვინ შეიძლება არსებობდეს ამ სტატუსით, მაგრამ სავარაუდოა რომ სასამართლოსთვის ასეთი მოსაზრება საგულისხმო გახდება იმ შემთხვევაში, თუ იგი წარდგენილი იქნება პირების მიერ, რომელთა მოსაზრებებიც იქნება არგუმენტირებული და დასაბუთებული.[57] სასკი-ს მე-16[1] მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკუთარი წერილობითი მოსაზრების წარდგენის უფლება აქვს „ნებისმიერ პირს.“ რადგან კანონმდებელს არ დაუკონკრეტებია ფიზიკური ან იურიდიული პირი, ნორმის სიტყვა-სიტყვითი განმარტების მეთოდით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ იგი გულისხმობს როგორც ფიზიკურ ასევე იურიდიულ პირს.

კანონში დაშვებული თითოეული შეცდომა თუ ნორმის არასწორი ინტერპრეტაცია სერიოზულ ზეგავლენას ახდენს მხარეთა უფლებრივ მდგომარეობაზე. აქედან გამომდინარე, მათს საქმიანობაზეც. ამიტომ კანონში ზუსტად უნდა იყოს გაწერილი მხარეთა უფლებამოსილებები და მკვეთრად გამიჯნული- მათი ფუნქციები.[58]უმჯობესი არის პირთა წრის დაკონკრეტება, რათა დაიტერესების შემთხვევაში არასამთავრობო ორგანიზაციებმა თუ სხვა აქტიურმა პირებმა თვითნებურად არ შეიკავონ თავი ინიციატივის გამოჩენაზე.

კვლევის შედეგად ირკვევა, რომ სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტის პროექტის ადმინისტრაციული პროცესისთვის შექმნისას კანონმდებელმა ნებისმიერ პირში იგულისხმა: „ნებისმიერი კერძო პირი, სხვადასხვა დარგის სპეციალისტი, მეცნიერი, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი, სტუდენტი, სახელმწიფო უწყების წარმომადგენელი და ა.შ. სასამართლოს მეგობარი, როგორც წესი, უნდა იყოს კვალიფიციური პირი, რომლის მოსაზრებებმაც, შეიძლება, სასამართლოს გაუწიოს დახმარება.“[59] თუმცა სიტყვა-სიტყვით აღნიშნული პირთა წრე კანონის ტექსტში არ ჩაწერილა. თუ ამის მიზანი ის იყო რომ პირთა წრე არ შეზღუდულიყო, მაშინ დადებით მიდგომად უნდა ჩაითვალოს, რადგან მხოლოდ რამდენიმე სუბიექტის

---

[56]https://factcheck.ge/ka/story/29514-sasamarthlos-megobris-statusi-sheuthavsebelia-prezidentis-institutthan-es-kanonmdeblobas-pirdapir-etsinaaghmdegeba ნანახია 18.05.2019

[57]*ლორია/* კოპალეიშვილი/ტურავა/ხარშილაძე/ლორია/ გვარამაძე,ღვამიჩავა, (რედ.) ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, 209.03

[58]*გორგოძე,* სასამართლოს მეგობარი-სპეციალური ცოდნით აღჭურვილი პირების კონსულტირება მართლმსაჯულებისთვის თუ მხარეთა პოზიციების განმტკიცების ინსტიტუტი, მაია ივანიძის 50 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, 95.

[59]ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის სხდომის პრესრელიზი გვ.2

მითითებამ, შესაძლოა, არ გამოიღოს ნაყოფიერი შედეგი, ვინაიდან სასამართლოს მეგობრის პოზიციაში ინდივიდების გარდა გვევლინებიან სხვადასხვა ჯგუფები მაგალითად, კორპორაციები, მთავრობა, მუნიციპალიტეტი, საქველმოქმედო ორგანიზაცია, იურიდიული ფირმა, მკვლევართა ჯგუფი, პროფესიული გაერთიანებები, რელიგიური გაერთიანებები და სხვა.[60] ე.ი ის უზარმაზარი ჩამონათვალი რომლის კანონის ნორმაში გამოტანა შეუძლებელი იქნებოდა.

უმჯობესია მეტი კონკრეტიკა სახელმწიფო ორგანოების შემთხვევაში, ვინაიდან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ (პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის მაგალითი), არ გახდეს სადავო კონკრეტული სუბიექტის მონაწილეობა-არმონაწილეობის საკითხი. რადგან, როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს საოქმო ჩანაწერიდან ირკვევა,[61] სასამართლოს მეგობარი არ ყოფილა წარმოდგენილი აღნიშნულ საქმეზე.რადგან პრეზიდენტი აქტიურად აანონსებდა ამ სტატუსით პროცესში ჩართვის თაობაზე, სავარაუდოა, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ არ მიიღო პრეზიდენტის მოსაზრება, საუბარია სამართალწარმოებაში ჩართვის უარყოფაზე და არა მოსაზრების გაუზიარებლობაზე.

კონკრეტული საქმიდან ჩანს სასამართლოს მეგობრის სუბიექტისადმი გაურკვევლი მიდგომა, ვინაიდან ქართული საკანონმდებლო ჩარჩო ინსტიტუტს არ უწესებს შეზღუდვას; არანირი მითითება როგორც ადმინისტრაციულ, ისე საკონსტიტუციო და სისხლის სამართლის კანონმდებლობაში სახელმწიფო ორგანოების თუ თანამდებობის პირების დაუშვებლობის თაობაზე არ გვხვდება, მაგრამ ფაქტია: სასამართლო, მიუხედავად ამისა, მაინც არ იღებს მსგავსი სუბიექტის მიერ წარდგენილ მოსაზრებას, ყოველივე ეს კი იწვევს გაურკვევლობასა და სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტის დაკნინებას. აქედან გამომდინარე, უმჯობესია კანონმდებელი შეჯერდეს ერთ პოზიციაზე და ნორმაში ასახოს ყველა ის გამომრიცხავი გარემოება,რომლებიც ხელს შეუშლის პირს სასამართლოს მიმართოს მოსაზრების წარდგენაზე სასამართლოს მეგობრის სტატუსით.

---

[60]*Caldeira/ Wright/* Amici Curiae before the Supreme Court: Who Participates, When, and How Much? The Journal of Politics, 52(3)/1990, 791.

[61]http://www.constcourt.ge/ge/legal-acts/recording-notices/3-2-1-saqartvelos-moqalaqeebi-avtandil-baramidze-givi-mitaishvili-nugzar-solomonidze-da-sxvebi-saqartvelos-parlamentis-winaagmdeg.page?fbclid=IwAR1hHbMghphlPj6kBHiYGo6LuF5u0jaoFxqluwuqQlbCu5Fl_RfrTLsaYm0 ნანახია 29.06.2019

3.2. გამჭვირვალე და ეფექტური მართლმსაჯულების ხელშეწყობა

ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს შორის ერთ-ერთი ძირითადია სასამართლოსადმი მიმართვის უფლება, რომლითაც მოქალაქეები საკუთარი კანონიერი ინტერესების დაცვას უზრუნველყოფენ. აღნიშნული საპროცესო უფლება საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი ნაწილით არის გარანტირებული. სასამართლოსადმი მიმართვა და სასამართლო დაცვის გარანტია საპროცესო სამართლის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპია, რომლის საფუძველზეც რეალიზდება მატერიალური სამართალი. [62] ამასთან ერთად მნიშვნელოვანი საკითხია, თუ როგორ ხორციელდება პრაქტიკაში აღნიშნული უფლება, რაშიც გადამწყვეტ როლს თამაშობს გამართული და ეფექტური მართლმსაჯულების სისტემა.

მართლმსაჯულების ეფექტიანი ადმინისტრირება ნებისმიერი დემოკრატიული სახელმწიფოს ცენტრალური ნაწილია, რომლის გარეშეც წარმოუდგენელი იქნებოდა სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობა. მართლმსაჯულების ეფექტიანად და ხარისხიანად განხორციელება არ წარმოადგენს აბსტრაქტულ, მხოლოდ დოქტრინალურ-სამართლებრივ კატეგორიას, არამედ სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს მის პრაქტიკულ რეალიზაციას სასამართლო სისტემისადმი საზოგადოებრივი ნდობის განმტკიცებისა და მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში მოსახლეობის ჩართულობის ამაღლების კუთხით.[63]

სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტის მიზანი ადმინისტრაციულ პროცესში არის სასამართლოს გადაწყვეტილებების ხარისხის ამაღლება, რაზეც სასამართლოს მეგობარი დადებით გავლენას ახდენს, ვინაიდან გადაწყვეტილება უფრო მეტ წყაროს ეფუძნება, ამასთანავე, იგი ხელს უწყობს საზოგადოების ჩართულობას, რაც კიდევ უფრო მეტად ზრდის სასამართლოს გადაწყვეტილების მიმართ ნდობის ხარისხს.[64]სტრატეგიული კუთხით სამართალწარმოებაში საზოგადოების ინტერესების გათვალისწინების მიზნით, სასამართლოს მეგობრის მონაწილეობა საქმის სასამართლო განხილვის ეტაპზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. კერძოდ, აღნიშნული

---

[62] *ხარშილაძე,* ადმინისტრაციული საჩივარი, როგორც სარჩელის წარდგენის წინაპირობა, სამართლის ჟურნალი #1 , 2011, 182.

[63] *კვაჭაძე/ჯუღელი/ ღვინჯილია/ლურსმანაშვილი,* სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტის
(AMICUS CURIAE) როლი სამართალწარმოების პროცესში, მართლმსაჯულება და კანონი#1(61)/2019, 16.

[64]განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ,“ 2.

ინსტიტუტი წარმოადგენს სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის კიდევ ერთ მტკიცებულებას.[65]

სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტის დანერგვა უფრო გამჭვირვალეს ხდის სასამართლოების მუშაობას და ზრდის სასამართლო სისტემაში საზოგადოების მონაწილეობას. ნდობა სასამართლოს მიმართ არც თუ ისე მაღალია, რისი შეცვლის ერთ-ერთი გზა სასამართლოში საზოგადოების მონაწილეობის გაზრდა და მეტი გამჭვირვალობაა.[66]

სასამართლოს მეგობრის მოსაზრება ძირითადად წარდგენილია მაშინ, როდესაც საქმე ეხება მნიშვნელოვან საკითხს და მოითხოვს განსაკუთრებულ სიფრთხილეს, მაგალითად, სასამართლოს მეგობარმა შესაძლოა წარმოადგინოს სადავო ნორმის განმარტების საკუთარი ინტერპრეტაცია.[67]მის მიერ მიწოდებულ ინფორმაციად შესაძლებელია გვევლინებოდეს როგორც ფაქტობრივი, ასევე სამართლებრივი ხასიათის ინფორმაცია. პირს, სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტის მეშვეობით, შეუძლია სასამართლოს მიუთითოს პირთა გარკვეულ წრეზე, რომლებზედაც დიდი ალბათობაა უარყოფითად აისახოს სასამართლოს მიერ მიღებული შესაძლო გადაწყვეტილება.მიაწოდოს ინფორმაცია პოტენციურად უარყოფითი ეფექტების შესახებ და, ამგვარად, სასამართლოს უჩვენოს „კონკრეტულ საქმეზე გადაწყვეტილების მიღებით გამოწვეული რისკების ბევრად უფრო ფართო სპექტრი და თანმდევი შედეგები.სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტმა შესაძლებელია განსაკუთრებული ყურადღება მიიპყროს საჯარო აზრის ფორმირებისას. იგი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს დემოკრატიული სასამართლო სისტემის შექმნაში. სასამართლო მეგობრის ინსტიტუტი ,ერთი მხრივ, ხელს უწყობს სასამართლო პროცესში საჯარო ჩართულობას, ხოლო მეორე მხრივ, განამტკიცებს სასამართლო სისტემის ინსტიტუციონალურ ლეგიტიმაციას.[68]

მართლმსაჯულების მიმართ საზოგადოების ნდობას, ძირითადად, მოსამართლის გადაწყვეტილებები განაპირობებს. გადაწყვეტილება

---

[65]*ჩხეიძე,* სასამართლოს მეგობარი ქართულ სისხლის სამართლის პროცესში (Amicus curiae), მართლმსაჯულება და კანონი #3 (30)/2011, 135.

[66]*კოტეტიშვილი, სუბარი (რედ.),*Amicus curiae სასამართლოს მეგობარი, 34.

[67]Amici Curiae, Harvard Law Review,34(7)/1921, 774.https://www.jstor.org/stable/1329231?Search=yes&resultItemClick=true&searchText=amicus&searchText=curiae&searchUri=%2Faction%2FdoBasicResults%3Fgroup%3Dnone%26amp%3Bwc%3Don%26amp%3BQuery%3Damicus%2Bcuriae%26amp%3Bacc%3Don%26amp%3Brefreqid%3Dsearch%253A6fd47720328d577aab6b1c38fee48a3f%26amp%3Bfc%3Doff&ab_segments=0%2Fdefault-2%2Fcontrol&refreqid=search%3A44935895ec2743d2d6a0f0ef7717bcac&seq=4#metadata_info_tab_contentsნანახია 18.05.2019

[68]*კვაჭაძე/ჯუღელი/ ღვინჯილია/ლურსმანაშვილი,*სასამართლოსმეგობრისინსტიტუტის (AMICUS CURIAE) როლისამართალწარმოებისპროცესში, მართლმსაჯულებადაკანონი №1(61)/2019, 20

აუცილებლად გასაგები და დასაბუთებული უნდა იყოს, განსაკუთრებით კი-წაგებული მხარისთვის, რათა მას ეჭვი და კითხვები არ გაუჩნდეს საქმის განხილვასთან დაკავშირებით. მოსამართლეები აღნიშნავენ, რომ ბევრჯერ წაგებული მხარეც კი კმაყოფილი დარჩენილა, რადგან მოსამართლის გადაწყვეტილება სრულიად არგუმენტირებული და გასაგები იყო მათთვის.[69]სტრასბურგის სასამართლო დავას წყვეტს არა ინდივიდუალურ მოსამართლეთა პრიორიტეტებით, არამედ სამართლებრივი მასალების გონივრული განხილვის საფუძველზე. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ძირითადად ეყრდნობა მის მიერ შექმნილ პრეცენდენტულ სამართალს ეროვნული სასამართლოების ხედვასა და საერთაშორისო სამართლის პრინციპებს, რომლებიც რელევანტურია კონკრეტული დავისთვის. სასამართლოს გადაწყვეტილების თითქმის 90% გადაწყდა პირველი ორი (პრეცედენტის და ზოგადი პრინციპების) საფუძველზე.ხოლო სასამართლოს მეგობარი ხელს უწყობს მას ამ ამოცანის შესრულებაში.[70]

3.2.1. დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი კომენტატორი

საზოგადოებრივი კონტროლი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კონტროლის სახეა დემოკრატიულ სამართლებრივ სახელმწიფოში. ამ შემთხვევაში საზოგადოებაში ფართო გაგებით იგულისხმება ადამიანთა ნებისმიერი გაერთიანებები, ინტერესთა ჯგუფები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, სამეცნიერო და საექსპერტო ინსტიტუტები, არასამთავრობო ორგანიზაციები (მათშორის არასაპარლამენტო პოლიტიკური პარტიები). საზოგადოება საჯარო მმართველობას ახორციელებს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოქალაქეთა სრულფასოვანი ჩართვისა და მონაწილეობის ხელშეწყობის გზით. მართალია, მათ არ შეუძლიათ გაატარონ სადამსჯელო ღონისძიებები (მაგ. ქრთამის აღებისათვის დააკავონ პირი), თუმცა საზოგადოებრივ ინსტიტუტებს შეუძლიათ ასეთი ფაქტები გამოამზეურონ და მონიტორინგი გაუწიონ ხელისუფლებას ასეთი გამოვლინებების მიმართ ადეკვატურ რეგირებასთან დაკავშირებით.[71] სწორედ საზოგადოებრივი კონტროლის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტი, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების უშუალო ჩართულობას ადმინისტრაციულ პროცესში.

---

[69] *აბაშიძე/არგანაშვილი/ბერაია/ვერძეული/კუკავა/შერმადინი/ციმაკურიძე,*სასამართლო სისტემა რეფორმები და პერსპექტივები,21.

[70]https://strasbourgobservers.com/2015/02/24/third-party-interventions-before-the-ecthr-a-rough-guide/ ნანახია 18.05.2019

[71] იქვე.

კანონის ნორმაში არ არის განსაზღვრული, რა სტანდარტით ხდება სასამართლოს მეგობარსა და პროცესის სხვა მონაწილეებს შორის ურთიერთობა. სასამართლოს მეგობრის, როგორც პროცესის მიუკერძოებელი მონაწილის,სტატუსიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ საქმეში მისი მონაწილეობის ნებისმიერი საკითხი სრულყოფილად იყოს გაწერილი და არ არსებობდეს რაიმე ხარვეზი, რამაც შესაძლებელია გარკვეული ზიანი მიაყენოს სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტს.[72]

ერთი მხრივ, სასამართლოს მეგობარი არ უნდა ცდილობდეს თავს მოახვიოს მოსამართლეს საკუთარი ინტერესები, არამედ კეთილსინდისიერად ეცადოს გაუწიოს მას რეალური და ეფექტური დახმარება.[73] მხარეებისთვის ცხადი უნდა იყოს სასამართლოს მეგობრის დამოუკიდებლობა, რათა იმ შემთხვევაში, თუკი მოსამართლე გაიზიარებს მის წარდგენილ მოსაზრებას, არ წარმოიშვას მხარეების მხრიდან უნდობლობა და უკმაყოფილება.

მეორე მხრივ, გასათვალისინებელია ის გარემოება, რომ შესაძლოა განხორციელდეს რომელიმე მხარის მხრიდან სასამართლოს მეგობარზე ზეწოლის მცდელობა, მისი მხარდასაერი მოსაზრების სასამართლოში წარდგენის მიზნით, ამიტომ, ჩვენი აზრით, უნდა არსებობდეს გარკვეული კომუნიკაციის სტანდარტი სასამართლოს მეგობარსა და პროცესის დანარჩენ მონაწილეებს შორის, ისევე როგორც ეს მოსამართლის შემთხვევაში არის და რეგულირდება საქართველოს კანონით„საერთო სასამართლოების მოსამართლეებთან კომუნიკაციის წესის შესახებ.“ აღნიშნული კანონის მე-3 მუხლი ეხება მოსამართლესთან კომუნიკაციის დაუშვებლობას, კერძოდ: „საქმის სასამართლოში შესვლის მომენტიდან ამ საქმეზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე, აგრეთვე სისხლის სამართლის საქმის გამოძიების სტადიაზე აკრძალულია მოსამართლესთან პროცესის მონაწილის, დაინტერესებული პირის, საჯარო მოსამსახურის სახელმიფო მოსამსახურის, სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირისა დაპოლიტიკური თანამდებობის პირის კომუნიკაცია, რომელიც დაკავშირებული კონკრეტული საქმის ან საკითხის განხილვასთან ან/და საქმის სავარაუდო შედეგთან და არღევს სასამართლოს/ მოსამართლის დამოუკიდებლობის მიუკერძოებლობისა და სასამართლო პროცესის შეჯიბრებითობის პრინციპებს.“ ჩვენი აზით, საკანონმდებლო ცვლილებას საჭიროებს სწორედამ მუხლის ნაწილში, სადაც ბოლო წინადადებად უნდა ჩაემატოს ფრაზა შემდეგი ფორმულირებით: თუ საქმეში წარმოდგენილია

[72] *მეიშვილი,*AMICUS CURIAE სისხლის სამართალწარმოებაში: ტენდენციები და გამოწვევები,მართლმსაჯულება და კანონი #1 (53)/2017,53.

[73] https://strasbourgobservers.com/2015/02/24/third-party-interventions-before-the-ecthr-a-rough-guide/ ნანახია 18.05.2019

სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება, კომუნიკაციის დაუშვებლობა გავრცელდება ასევე მოსაზრების წარმდგენ პირზეც.

ადმინისტრაციულ პროცესში მოქმედი ნორმა არ ითვალისწინებს ასევე სასამართლოს მეგობრის სუბიექტის მიერ კონკრეტულ პროცესში ჩართვის მიზნისდასაბუთებულობის მოთხოვნას. ვფიქრობთ, პირის მიერ რამდენიმე სიტყვით მაინც ახსნა-განმარტება, თუ რატომ დაინტერესდა აღნიშნული საქმით და რა მიზანს ემსახურება მისი მოსაზრება, რას მოუტანს მისი ჩართულობა თავად მას ან სხვა პირებს, იქნება ამ ინსტიტუტის დამოუკიდებლობის დამატებითი გარანტია.შესაბამისად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ სასკ-ის მე-16[1] მუხლის პირველი ნაწილი შემდეგი სახით ჩამოყალიბდეს: . ნებისმიერ პირს, რომელიც არ არის მხარე ან მესამე პირი განსახილველ საქმეში, უფლება აქვს, საქმის არსებით განხილვამდე არანაკლებ 5 დღით ადრე ადრე აღნიშნულ პროცესში თავისი მონაწილეობის მიზნის მითითებით, სასამართლოს წარუდგინოს წერილობითი მოსაზრება აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით.

წარმოდგენილი ცვლილებების პროექტის განხორციელების შემთხვევაში, სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტის დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა უფრო მეტად განმტკიცდება, შესაბამისად ნდობა მის მიერ წარდგენილი მოსაზრებისადმი გაიზრდება.

3.3. მოსამართლის თავისუფალი ნება

სასამართლო არ არის ვალდებული გაიზიაროს წერილობით მოსაზრებაში მოყვანილი არგუმენტები, თუმცა თუ საჭიროდ მიიჩნვს, ის უფლებამოსილია გამოიყენიოს სასამართლოს მეგობრის მიერ გამოგზავნილი მოსაზრება რაც შესაძლებელია სასამართლო გადაწყვეტილების ნაწილში აისახოს(სასკ-ის მე-16[1] მუხლის მე-2 ნაწილი). სასამართლო პროცესის მიზანს წარმოადგენს კონკრეტულ საქმეზე ობიექტური და კანონიერი გადაწყვეტილების მიღება. ამ შედეგის მისაღწევად მან უნდა გამოიკვლიოს და დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მოუსმინოს მოსარჩელეს, მოპასუხეს, მისცეს მათ საკუთარი მოსაზრებებისა და მტკიცებულებების წარდგენის შესაძლებლობა. მხარეებს აღნიშნული ღონისძიების შედეგად ეძლევათ საშუალება, დაამტკიცონ თავიანთი მოთხოვნების ჭეშმარიტება და სასამართლოს შეუქმნან ამომწურავი წარმოდგენა საქმის გარემოებათა შესახებ.[74] ასეთ დროს სასამართლოს მეგობრის ამოცანაა თავისი წერილობითი მოსაზრებით, სასამართლოს ყურადღება მიიპყროს ისეთ გარემოებებზე, რომლებიც მხარეებს გამორჩათ ან არ აღუნიშნავთ და ამით იგი სასამართლოს

[74] *ლორია/* კოპალეიშვილი/ტურავა/ხარშილაძე/ლორია/გვარამაძე/ღვამიჩავა, (რედ.),ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, 209.

შეუფასებელ დახმარებას გაუწევს. ისეთი წერილობითი მოსაზრებები, რომლებიც ამ მიზანს არ ემსახურება, ტვირთად აწევს სასამართლოსა და პროცესზე მისი წარდგენა არ არის სასურველი“- (წესი 37(1), აშშ-ს უზენაესი სასამართლოს წესები).[75] სწორედ, იმისთვის, რომ არ მოხდეს მართლმსაჯულების ეფექტურობის გაზრდის მაგივრად, ხელის შეშლა, მოსამართლეს მინიჭებულიაქვს თავისუფალი ნება, რომ თავად გადაწყვიტოს არის თუ არა წარდგენილი მოსაზრება გამოსადეგი კონკრეტული საქმისთვის. მოსამართლე უფლებამოსილია და არა ვალდებული, რომ სასამართლოს მეგობრის მოსაზრება გამოიყენოს. შესაბამისად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, გარემოებებიდან გამომდინარე მოსამართლე თავად იღებს გადაწყვეტილებას.

სასამართლოს მეგობარი არ მოქმედებს რომელიმე მხარის სასარგებლოდ და არც მტკიცებულებების წარსადგენად[76]სასამართლოს მეგობრის ფუნქცია განისაზღვრება საქმის ნებისმიერ გარემოებაზე, ყოველგვარი სუბიექტივიზმის გარეშე მოსაზრების გამოთქმით, რათა საფრთხე არ შეექმნას მხარეთა თანასწორობის პრინციპს.[77]

საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში არ არის მოცემული მტკიცებულების ცნება. იურიდიულ ლიტერატურაში მიღებული განმარტების თანახმად, მტკიცებულებებია კანონით დადგენილი წესით მიღებული ცნობები ფაქტების შესახებ (ფაქტობრივი მონაცემები), რომელთა საფუძველზეც სასამართლო ადგენს იმ გარემოებების არსებობა ან არარსებობას, რომლებიც ასაბუთებენ მხარეთა მოთხოვნებსა და შესაგებელს, ასევე სხვა იმ გარემოებების არსებობას, რომელთაც მნიშვნელობა აქვს საქმის სწორად განხილვისა და გადაწყვეტისთვის. ადმინისტრაციულ პროცესში მტკიცებულებით საქმიანობას ახორციელებენ სასამართლო მხარეები და მესამე პირები (მტკიცების სუბიექტები).[78] სასამართლოს მეგობარი არ არის მტკიცების სუბიექტი, ის არაფერს ამტკიცებს, იგი მხოლოდ აწვდის ინფორმაციას მოსამართლეს.რჩევის მიღება სასამართლოს და მოსამართლის

---

[75] *კოტეტიშვილი/*სუბარი (რედ.), Amicus curiae სასამართლოს მეგობარი, 13.

[76] Amici Curiae, Harvard Law Review, 34(7)/ 1921,775https://www.jstor.org/stable/1329231?Search=yes&resultItemClick=true&searchText=amicus&searchText=curiae&searchUri=%2Faction%2FdoBasicResults%3Fgroup%3Dnone%26amp%3Bwc%3Don%26amp%3BQuery%3Damicus%2Bcuriae%26amp%3Bacc%3Don%26amp%3Brefreqid%3Dsearch%253A6fd47720328d577aab6b1c38fee48a3f%26amp%3Bfc%3Doff&ab_segments=0%2Fdefault-2%2Fcontrol&refreqid=search%3A44935895ec2743d2d6a0f0ef7717bcac&seq=4#metadata_info_tab_contents ნანახია 18.05.2019

[77] *ჩხეიძე,* სასამართლოს მეგობარი ქართულ სისხლის სამართლის პროცესში (Amicus curiae), მართლმსაჯულება და კანონი #3 (30)/2011, 138.

[78] *ხარშილაძე/* კოპალეიშვილი/ტურავა/ხარშილაძე/ლორია/გვარამაძე/ღვამიჩავა, (რედ.),ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, 212.

უფლებაა[79] გაითვალისწინებს თუ არ გაითვალისინებს ეს უკვე მისი თავისუფალი ნება.

4. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის ნოვაციის ქმედითობა პრაქტიკაში

დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ სასამართლოს მეგობარს ჰქონდეს საქმისთვის პრაქტიკული მნიშვნელობა, არ წაარმოადგენდეს ფსევდო დემოკრატიულ ატრიბუტს მართლმსაჯულებისათვის[80] და არ რჩებოდეს გამოუყენებელ ნორმად კოდექსში.

სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტს ორი დადებითი მხარე აქვს. დადებითად მოქმედებს გადაწყვეტილებების ხარისხის ამაღლებაზე და მეორე-საზოგადოების წარმომადგენლებს საშუალება ეძლევათ, კარგი გაგებით გავლენა მოახდინონ სასამართლო გადაწყვეტილებებზე. საზოგადოებასა და სასამართლოს შორის კავშირი დამყარდება - ეს ინსტიტუტი ერთგვარად არის საზოგადოების მონაწილეობა სასამართლო პროცესში.[81]

მიზეზი რის გამოც სასამართლოს მეგობარი იწყებს სასამართლოში თავისი ინტერესის წარმოჩენას, შეიძლება იყოს საკმაოდ ამაღლებული და ღირსეული,[82] თუნდაც მნიშვნელოვანი დავის საზოგადოებისთვის სასიკეთოდ გადაწყვეტა, სუბიექტები შეიძლება ჩაერთონ საქმეში სხვადასხვა მიზეზით,ზოგიერთი ორგანიზაცია ადგენს მოსაზრებას იმ მიზნით, რომ მიიპყროს მედიის ყურადღება ან რათა ორგანიზაციაში მიიზიდოს წევრები,[83]რომ მოხვდნენ შესაფერის ადგილზე სადაც,შეძლებენ თავიანთი შეხედულებების გამოხატვას არსებით სამართლებრივ და საჯარო პოლიტიკურ თემებზე. სავარაუდოა, რომ სასამართლოს მეგობარი ხშირად მიაწოდებს სასამართლოს პოლიტიკურ თემებთან და გარკვეულ სასამართლო გადაწყვეტილებებების მნიშვნელობასთან დაკავშირებულ არგუმენტებს.[84]მოცემულ თავში დეტალურად მიმოვიხილავთ სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტის გამოყენების მასშტაბებს და ინტენსივობას ადმინისტრაციულ დავებზე მისი ამოქმედებიდან დღემდე.

---

[79] *Covey*, Amicus Curiae: Friend of the Court,DePaul Law Review #30,1959, 32.

[80] *გორგოძე*, სასამართლოს მეგობარი-სპეციალური ცოდნით აღჭურვილი პირების კონსულტირება მართლმსაჯულებისთვის თუ მხარეთა პოზიციების განმტკიცების ინსტიტუტი, მაია ივანიძის 50 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, 97.

[81] http://24blog.ge/news/story/1262-sasamartlos-megobari-sakonstitutsio-sasamartloshi ნანახია 18.05.2019

[82] *კოტეტიშვილი*/სუბარი (რედ.), Amicus curiae სასამართლოს მეგობარი, 21.

[83] *კოტეტიშვილი*/სუბარი (რედ.), Amicus curiae სასამართლოს მეგობარი, 13.

[84] *კოტეტიშვილი*/სუბარი (რედ.), Amicus curiae სასამართლოს მეგობარი,22.

4.1. სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტის გამოყენების სტატისტიკა 2015 წლიდან დღემდე

4 წელი არ არის საკმარისი დროიმისთვის, რომ სრულფასოვნად შეფასდეს „სასამართლოს მეგობრის“ ინსტიტუტის არსებობის აუცილებლობის საკითხი ადმინისტრაციულ პროცესში, თუმცა არც ისე მცირე დროა შუალედური დასკვნის გამოსატანად-რამდენად ქმედითუნარიანი აღმოჩნდაეს ნოვაციაადმინისტრაციულ პროცესში, რა ტენდენციები გამოიკვეთა 2015წლიდან დღემდე და რა გამოწვევებისინაშე დგას.

ზუსტი სტატისტიკის*(იხ.დანართი2)* მოწოდება შეძლო სახალხო დამცველმა, რომლის მონაცემებიდანაც ირკვევა, რომ ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის მომენტიდან სახალხო დამცველი აქტიურად ერთვებოდა სასამართლოს მეგობრის სტატუსით სხვადასხვა ადმინისტრაციულ დავაში, კერძოდ, პირველ წელს, 2015 წელს, სახალხო დამცველი ამ სტატუსით 6 საქმეში ჩაება, აქედან 4 დავა მიმდინარეობდა თბილისის საქალაქო სასამართლოში, ერთი- ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში, ხოლო ერთიც-ბათუმის საქალაქო სასამართლოში.

2016 წელს ეს რიცხვი გაიზარდა, რადგან სახალხო დამცველმა სასამართლოს მეგობრის მოსაზრება წარადგინა 8 ადმინისტრაციულ დავაზე.აქედან 1 დავა მიმდინარეობდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში, 3-თბილისის სააპელაციო სასამართლოში და 4- თბილისის საქალაქო სასამართლოში.

2017 წელს სახალხო დამცველის აქტივობა ორჯერ შემცირდა, ვინაიდან ამ წელს მხოლოდ 4 ადმინისტრაციულ დავაში ჩაება სახალხო დამცველი სასამართლოს მეგობრად და ოთხივე დავა თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარეობდა.

2018 წელს სახალხო დამცველი კვლავ გააქტიურდა და 6 ადმინისტრაციულ დავაზე წარადგინა მოსაზრება სასამართლოს მეგობრის სტატუსით.2018 წელი იმით გამოირჩევა წინა წლებისგან, რომ სახალხო დამცველი უკვე უზენაეს სასამართლოში წარდგა სასამართლოს მეგობრის სტატუსით, ადმინისტრაციულ დავაზე.ამას გარდა, იყო 3-თბილისის სააპელაციო და 2 თბილისის საქალაქო საქმეებზე სასამართლოს მეგობრად გამოსული.

რაც შეეხება 2019 წელს, ამ ეტაპზე 2019 წლის 30 მაისის მონაცემებით, სახალხო დამცველს აქვს 4 მოსაზრება წარდგენილი სასამართლოს მეგობრის სტატუსით. აქედან,2- თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში და 2- თბილისის სააპელაციო სასამართლოს საქმეთა პალატაში.

კვლევის ფარგლებში მოპოვებული ინფორმაციიდან ირკვევა, რომ სახალხო დამცველის აქტიურობა საკმაოდ მაღალია. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ იგი არ მოქმედებს მხოლოდ ცენტრალიზებულად, არამედ სახალხო დამცველი არაერთხელ წარადგენს სასამართლოს მეგობრის მოსაზრებას პერიფერიებშიც. ასევე შესამჩნევია სახალხო დამცველის თანმიმდევრულობა, კერძოდ, ადმინისტრაციულ საპროცესო კანონმდებლობაში სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტის დანერგვიდან პირველ წელს მისი აქტიურობა შემოიფარგლება მხოლოდ რაიონული და საქალაქო სასამართლოებით, ხოლო განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებიდან მეორე წელს იგი უკვე მეორე ინსტანციაში ინაცვლებს სასამართლოს მეგობრის სტატუსით. ერთგვარ კულმინაციად 2018 წელი გვევლინება, როდესაც სახალხო დამცველი საკასაციო სასამართლოს მიმართავს სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით ადმინისტრაციულ დავაზე.

სახალხო დამცველის მხრიდან გამოვლენილი აქტიურობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ამ ინსტიტუტის ფუნქციონირებისთვის, ვინაიდან, როგორც კვლევის ფარგლებში ირკვევა, ის უპირველესი სუბიექტია სასამართლოს მეგობრის სტატუსით მიმართვიანობის კუთხით.ასევე ნიშანდობლივია სახალხო დამცველის მიერ წარდგენილი მოსაზრების ფორმა და შინაარსი.მოპოვებული მასალებიდან აშკარაა, რომ მოსაზრება არის დასაბუთებული, არგუმენტირებული, რისი საბოლოო შედეგია, რომ მოსამართლე უმრავლეს შემთხვევაში ითვალისწინებსმას.მაგალითად: 2015 წლის 26 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ გაითვალისწინა სახალხო დამცველის სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება.2015 წლის 20 მაისს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს განცხადებით მიმართა ა(ა)იპ „ასოციაცია ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელი“-ს ადვოკატირების მრჩეველმა, ნოდარ თოფურიძემ და სახალხო დამცველს სთხოვა სასამართლოს მეგობრის სტატუსით ჩართვაადმინისტრაციულ საქმეში #3/3087-14,19/08/2018.

მოკლედ საქმის მასალები: ქალაქ თბილისის საკრებულოს 2013 ლის 29 დეკემბრის გადაყვეტილებით „დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების შესახებ“ თბილისის საკრებულოს 2009 წლის გადაწყვეტილებაში შევიდა ცვლილება, რომლის თანახმადაც თბილისში, ვაკის რაიონში, სოფელ თხინვალას მიმდებარე ტერიტორიაზე, მოსარჩელეების კუთვნილი მიის ნაკვეთებისთვის განისაზღვრა სპეციალური ზონა 2. აღნიშნული ცვლილება გამნხორციელდა თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 2013 ლის 12 სექტემბრის #3 სხდომის შესაბამისად.მოსარჩელეებმა 2014 ლის 24 მარტს მიმართეს თბილისის არქიტექტურის სამსახურს, ზემოთხსენებულ მიწის ნაკვეთებზე

სასაფლაოების მოსაწყობად პროექტების შეთანხმების მოთხოვნით, ვინაიდან სწორედ ქალაქ თბილისის მთავრობის დადგენილებით, გაიცა თანხმობა მოსარჩელეების კუთვნილ მიწის ნაკვეთებზე სასაფლაოების მოწყობის შესახებ.

2014 წლის 19 ივლისს ქალაქ თბილისის მერიას მიმართა საქართველოს შრომის, ჯანმთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ-მ სოციალური მომსახურების სააგენტომ წერილით და დაუშვებლად მიიჩნია ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე სასაფლაოების მოწყობა, ვინაიდან აღნიშნული ტერიტორიის მიმდებარედ განთავსებულია 13 მცირე საოჯახო ტიპის „ბავშვთა სახლი“ რომლებშიც განთავსებულია მზრუნველობამოკლებულ ბავშთა სააღმზრდელო დაწესებულებები. საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კორესპონდენციის თანახმად, სააღმზრდელო დაესებულებათა სიახლოვეს სასაფლაოების მოყობისა და აღსაზრდელთა ფსიქო-ემოციურ მდგომარეობაზე მისი ნეგატიური გავლენის თვალსაზრისით, დაუშვებლად უნდა იქნეს მიჩნეული „ასოციაცია ეს-ო-ეს ბავშვთა სოფლის“ მცირე საოჯახო ტიპის სახლების მახლობლად სასაფლაოების მოწყობა.2014 ლის 19 აგვისტოს მოსარჩელე მხარემ მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს,ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას დ მოითხოვა ქალაქ თბილისის მთავრობის 2014 ლის 8 ივლისის დადგენილების ბათილად ცნობა.

კონკრეტულ საქმეში სავალდებულო წესით ჩართულ მესამე პირად-ააიპ „ასოციაცია ეს-ო-ეს ბავშვთა საოფლის“ პოზიციის თანახმად, აღნიშნულ ტერიტორიაზე სასაფლაოს გამართვა ზიანს მიაყენებს სახელმწიფო და საზოგადოებრივ ინტერესს.იგი ნეგატიურ შედეგს გამოიღებს ბავშვების ფსიქოლოგიური მდგომარეობისა და მათი საუკეთესო ინტერესების მიმართ.მცირე საოჯახო ტიპის სახლების სერვისის ფარგლებში ჩართული არიან სახელმწიფო მზრუნველობაში მყოფი ბავშვები, ხოლო მათი სათანადო პირობებში აღზრდა სახელმწიფო ინტერესებს წარმოადგენს, ამასთან ააიპ „ასოციაცია ეს-ო-ეს ბავშთა სოფლის“ მოსაზრების თანახმად, დაგეგმილი სასაფლაოს ტერიტორია ჩანს „ეს-ო-ეს ბავშვთა სოფლის“ რამოდენიმე სახლიდან და ეზოს გარკვეული მონაკვეთიდან.სატრანსპორტო გზა რომელიც მიდის დაგეგმილ სასაფლაომდე უშუალოდ გადის ბავშვთა სოფლის შესავლელთან და ეზოს გასწვრივ, დაკრძალვის პროცესიამ და ცერემონიამ კი აღნიშნულ ტერიტორიაზე უნდა იმოძრაოს, აღნიშნულ პოზიციას იზიარებს სამინისტროც, რომელიც ასევე სავალდებულო წესით იქნა ჩართული მესამე პირად ზემოაღნიშნულ ადმინისტრაციულ საქმეში.ააიპ „ასოციაციაეს-ო-ეს ბავშვთა სოფლის“ ბენეფიციართა უმრავლესობა

წარსულში ძალადობის მსხვერპლია, რომელთა ფსიქოლოგიურ რეაბილიტაციას და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე შესაძლოა სასაფლაოების ფუნქციონირებამ ნეგატიური გავლენა იქონიოს .

საქმეში სასამართლოს მეგობრის სტატუსით ჩაება სახალხო დამცველი და წარადგინა მოსაზრება, სადაც განმარტა საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებული უფლება ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შესახებ- რომელიც განსაკუთრებულ რელევანტურობას იძენს ბავშვთა დაუცველი ჯგუფების მიმართ და მომატებულ ვალდებულებას აკისრებს სახელმწიფოს უზრუნველყოს არასრულწლოვანთა პირად სფეროში არამართლზომიერი და ნეგატიური ზემოქმედების აკრძალვა.აღნიშნული კი პირადი ცხოვრების ძირითადი უფლების შინაარსობრივ კომპონენტად განიხილა. დასაბუთებაში სახალხო დამცველს არგუმენტებად მოყვანილი ჰქონდა, როგორც ადგილობრივი კანონმდებლობა, აგრეთვე საერთაშორისო ნორმები, მაგალითად სახალხო დამცველი იშველიებს გაეროს ბავშვის უფლებების კონვენციას, ეკონომიკური სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტს, ევროპის სოციალურ ქარტიას, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის რეკომენდაციებს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას, მოსაზრებაში გამოყენებული იყო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ოთხი საქმე ნიმუშად, სადაც ჩანდა სასამართლოს განმარტებები მსგავს პრობლემასთან დაკავშირებით. ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ნათლად იკვეთება, რომ სახალხო დამცველის მიერ წარდგენილი მოსაზრება ფასეულ დახმარებას უევს სასამართლოს და არ არის გასაკვირი, რომ საბოლოო ჯამში ბავშვთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, სასამართლომ დაუშვებლად მიიჩნია მზრუნველობამოკლებულ ბენეფიციართა სააღმზრდელო დაწესებულების მიმდებარე ტერიტორიაზე სასაფლაოების მოწყობა.

სახალხო დამცველი სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) ინსტიტუტის გამოყენებას მნიშვნელოვნად მიიჩნევს, რადგან ის ხელს უწყობს ადამიანის უფლებათა დაცვის მაღალი სტანდარტის დამკვიდრებას[85]და ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების პირველივე წლიდან აქტიურად და წარმატებით იყენებს მის უფლებამოსილებას.აღნიშნული ეხება სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტის გამოყენებას როგორც სისხლის სამართლის პროცესში,ისე საკონსტიტუციო სამართალწაროებაში, როგორც კვლევის შედეგად მოპოვებული მასალებიდან ირკვევა არანაკლები აქტიურობით გამოირჩეოდა სახალხო დამცველი ამ კატეგორიის საქმეებზეც.

[85]საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის საქმიანობის ანგარიში, 23.

რაც შეეხება საერთო სასამართლოებს, თბილისის საქალაქო სასამართლოს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის განმარტებით ***(იხ.დანართი #3),***თბილისის საქალაქო სასამართლოს მონაცემთა ბაზაში არ აღირიცხება, არ მუშავდება და არ ხდება განთავსება იმ საქმეების, რომლებზეც სასამართლოს მეგობარმა წარადგინა მოსაზრება, ამიტომ შეუძლებელია სტატისტიკურად განსაზღვრა, თუ რამდენად აქტიურად მიმართავენ მოქალაქეები სასამართლოს მეგობრის სტატუსით სასამართლოს ან საერთოდ მიმართავენ თუ არა. სააპელაციო სასამართლოს ერთ-ერთი მოსამართლეც[86] აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლო დაახლოებით 20 000-მდე საქმეს იხილავს და 20 000 საქმეში სასამართლოს მეგობრის წარდგენილი მოსაზრების მოძიება დღევანდელი მოცემულობით შეუძლებელია. აღნიშნული აუცილებლად უნდა ჩაითვალოს ხარვეზად, ვინაიდან თანამედროვე სამყაროში ელექტრონულ მმართველობას გადამყვეტი მნიშვნელობა აქვს.

არ არსებობს საძიებო სისტემა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნებოდა იმ სასამართლო გადაწყვეტილებების მოძიება, სადაც სასამართლოს მეგობარმა წარადგინა მოსაზრება.ეს ხდება, მაშინ როდესაც ელექტრონული მმართველობა უკვე აქტიურად არის დანერგილი სასამართლო სისტემაში. ელ. მმართველობა არის ტექნოლოგიების გამოყენება უკეთესი მმართველობის მისაღწევად. (დემოკრატიის განვითარების პოტენციალზე ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) განმარტება)[87] უკეთესი მმართველობა კი რას შეიძლება გულისხმობდეს სხვას, თუ არა მოქალაქის ინტერესიდან გამომდინარე ინფორმაციაზე წვდომას. ელ. მმართველობა ორიენტირებულია მოქალაქეზე.[88] საკონსტიტუციო სასამართლოს საკმაოდ გამართული სისტემა აქვს ამ მხრივ ვინაიდან, სასამართლოში საქმის შესვლისთანავე სარჩელი იტვირთება საიტზე და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია გაეცნოს საქმის მასალებს, რაც ამ დრომდე საერთო სასამართლოების სისტემაში არ იყო შესაძლებელი.

ინოვაციებისა და ტექნოლოგიების საშუალებით საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნამ სახელმწიფო სექტორში ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება გარდაუვალი გახადა.უპირველესად, ეს შეეხო მონაცემთა დამუშავებას, თუმცა შემდგომ მოიცვა საზოგადოებასთან ურთიერთობაც.[89] საზოგადოებასთან ურთიერთობის გამოხატულებად უნდა

---

[86]თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლე გიორგი ტყავაძე.

[87]*ლაბაძე/*ხუბუა/ყალიჩავა (რედ), ადმინისტრაციული მეცნიერების სახელმძღვანელო,376.

[88]*ლაბაძე/* ხუბუა/ყალიჩავა (რედ), ადმინისტრაციული მეცნიერების სახელმძღვანელო,378.

[89]იქვე

ჩაითვალოს რიგითი მოქალაქის დაინტერესება კონკრეტული საქმის მასალებით, სურვილი,წარადგინოს მოსაზრება მეგობრის სტატუსით და მიუწვდეს ხელი საქმის მასალებზე. გადამწყვეტ როლს თამაშობს ამგვარი ინფორმაციის ხელმისავდომობა ელექტრონულად.

ამა წლის ივნისში გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების სამართლის პროგრამამ საქართველოში გაავრცელა ინფორმაცია საქართველოს სასამართლოების საქმისწარმოების სისტემის შექმნის თაობაზე, რომელშიც განთავსებული იქნება სასამართლოს ყველა ინსტანციის 2019 წლის გადაწყვეტილებები დაშტრიხული სახით და რომ ამ საძიებო სისტემას ნელ-ნელა დაემატება გადაყვეტილებები და შეივსება.[90]როგორც საიტიდან თვალნათლივ ჩანს, ბაზა ივსება არამარტო თბილისის საქალაქო სასამართლოს, არამედ მთელი საქართველოს მასშტაბით საქალაქო, რაიონული და მაგისტრი სასამართლოს საქმეებით, ამასთანავე თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო და საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებით.

აღნიშულ საიტზე ერთ-ერთი ველია გადაწყვეტილების ძებნა ტექსტით, ჩვენი აზრით, სწორედ აქ უნდა ჩაემატოს ფილტრი, სადაც მოქალაქეს ექნება შესაძლებლობა მიუთითოს სასამართლოს მეგობარი და ამ შემთხვევაში სისტემამ მოძებნოს საქმეები, რომელთა განხილვაშიც წარდგენილ იქნა სასამართლოს მეგობრის მოსაზრება, მიუხედავად იმისა, გაითვალისინა თუ არა მოსამართლემ იგი. ვინაიდან ამ პერიოდში ფორმირდება აღნიშნული ბაზა, სწორედ ახლაა იმის შესაძლებლობა, რომ მოვლენები სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტის სრულყოფისა და პოპულარიზაციის სასარგებლოდ განვითარდეს. ასეთ შემთხვევაში ასევე აღარ იქნება პრობლემური ზუსტი სტატისტიკა, თუ რა ინტენსივობით ხდება სასამართლოს მეგობრის სტატუსით მოქალაქეების მხრიდან სასამართლოსთვის მიმართვა.

4.2. მოსამართლის ნდობის ხარისხი სასამართლოს მეგობრის სუბიექტის მიმართ

დასავლეთის მეცნიერები სამართლიანად აღნიშნავენ, რომ დასკვნა ისე უნდა დაიწეროს, რომ ტყუილად არ დაიკარგოს დრო იმის მცდელობაზე, რომ დავარწმუნოთ მოსამართლეთა გარკვეული ნაწილი,შეიცვალონ მათ დამკვიდრებული შეხედულებები, არამედ, პირიქით, უნდა მივიპყროთ იმ მოსამართლეთა ყურადღება, რომლებიც დიდი ალბათობით მოისმენენ სასამართლოს მეგობრის ხმას და დაინახავენ საქმეს სხვა

[90]იხ. საიტიhttp://ecd.court.ge/Decision?fbclid=IwAR2qHWQiZpqrn0UD3E1gjQSQ2WlogYBEGdtIQDs6YktifPdILrFJrSMbH14 ნანახია 01.07.2019

კუთხით.[91]სასამართლოს მეგობრის მიერ წარდგენილი მოსაზრება იქნება საუკეთესო და გამოსადეგი როდესაც იგი შეიცავს საქმისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას, სამეცნიერო მასალებს,მონაცემებს, ანგარიშებს, სტატისტიკას და სხვა კვლევებს,[92] რაც კონკრეტულ შემთხვევაში შესაძლოა გამოსადეგი აღმოჩნდეს მოსამართლისთვის.

იმისთვის, რომ მოსამართლემ გაითვალისწინოს სასამართლოს მეგობრის მოსაზრება, ასევე მნიშვნელოვანი არგუმენტირებული დასაბუთება-თუ რა გავლენას იქონიებს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება საზოგადოებაზე და როგორ განაწყობს სამოქალაქო საზოგადოებას ყოველივე ეს სასამართლო ხელისუფლებისადმი.[93]მასთან ხშირად შედის სახალხო დამცველი სასამართლოს მეგობრის სტატუსით, მაგრამ მოქალაქეებს არ მიუმართავთ. მოსამართლის თქმით სახალხო დამცველს ძალიან საინტერესო მოსაზრებები აქვს ხოლმე, რაცეხმარებათ მოსამართლეებს მართმსაჯულების სწრაფად და ეფექტურად განხორციელებაში. მოსამართლის თქმით საზოგადოების ინფორმირებულობაც საჭიროა, რადგან ვინც არ იცისსაპროცესო კანონმდებლობა არ იცის რომ ასეთი ინსტიტუტით სარგებლობა აზრით, აღნიშნული ნორმა უნდა არსებობდეს, ვინაიდან ადმინისტრაციულ დავებში ზოგადად დიდი საზოგადოებრივი ინტერესია და ამ კუთხით მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელება მოქალაქეთა აქტიური ჩართულობით.

სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულების გასარკვევად და ზოგადად აღნიშნული საკითხისადმი საზოგადოების ინფორმირებულობის დონის დასადგენად, კვლევის ფარგლებში ჩატარდა გამოკითხვა.***(იხ.დანართი #4)*** გამოკითხვაში მონაწილეობდნენ თბილისსა და რუსთავში მცხოვრები სტუდენტები (ასაკობრივი ჯგუფი 18 წლის და მეტი). გამოკითხვის მეთოდად შეირჩა ონლაინ-ინტერვიუ-კითხვარის სახით. შერჩევის მოცულობა: 100 რესპონდენტი. როგორც ირკვევა, გამოკითხულთა 47%-მა იცის სასამართლოს მეგობრის არსი.მოსამართლის ადგილას სასამართლოს მეგობრის მოსაზრებას არ ენდობოდა მხოლოდ ერთი გამოკითხული, 88% კი კონკრეტული შემთხვევის მიხედვით იხელმძღვანელებდა. სასამართლოს მეგობრის მიერ სპეციალური ცოდნის ქონასთან დაკავშირებით აზრები ორად გაიყო-47%

---

[91]*გორგოძე,* სასამართლოს მეგობარი-სპეციალური ცოდნით აღჭურვილი პირების კონსულტირება მართლმსაჯულებისთვის თუ მხარეთა პოზიციების განმტკიცების ინსტიტუტი, მაია ივანიძის 50 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, 98.

[92]https://strasbourgobservers.com/2015/02/24/third-party-interventions-before-the-ecthr-a-rough-guide/ ნანახია 18.05.2019

[93]*ჩხეიძე,* სასამართლოს მეგობარი ქართულ სისხლის სამართლის პროცესში (Amicus curiae), მართლმსაჯულება და კანონი #3 (30)/2011, 135.

თვლის, რომ არ არის აუცილებელი სასამართლოს მეგობარს ჰქონდეს სპეციალური ცოდნა ან იურიდიული განათლება, დარჩენილი 53%-ის აზრით კი უნდა ჰქონდეს. გამოკითხულთა 93% თვლის, რომ სასამართლოს მეგობარი მართლმსაჯულების სწრაფ და ეფექტურ განხორციელებას უყობს ხელს, 96%-ის აზრით, ქართულ კანონდებლობაში სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტი უნდა არსებობდეს.გამოკითხვიდან აშკარაა, რომ სასამართლოს მეგობრის ნოვაციის დეტალური ცოდნის გარეშეც გამოკითხულთა ნაწილი თვლის, რომ ნდობა მეგობრის მიმართ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გარმოებებიდან გამომდინარეობს. უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ეს ინსტიტუტი მართლმსაჯულების ეფექტურად განხორციელებას ემსახურება და რომ ნორმა სასამართლოს მეგობრის შესახებ უნდა არსებობდეს.

ამერიკის შეერთებული შტატებში ადვოკატებისა და მოსამართლეების უმრავლესობის აზრით, სასამართლოს მეგობრის წერილობითმა მოსაზრებამ შესაძლებელია სასამართლოს ფასეული დახმარება გაუწიოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში.[94]ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესის სასამართლო (ფედერალური და შტატების სააპელაციო სასამართლოებსაც აქვთ სასამართლო დავები სადაც სასამართლოს მეგობარი დომინირებს) თითქმის არასდროს უარყოფს სასამართლოს მეგობრის მიერ წარდგენილ მოსაზრებას, მიუხედავად იმისა, რომ ამ მოსაზრებების წარმდგენთა რიცხვი ხშირად საკმაოდ სოლიდურია. თუმცა, არსებობს მოსამართლეთა ერთგვარი მიმდევრობა რომლებიც თვლიან, რომ მხოლოდ ორ შემთხვევაში შეიძლება გაითვალისწინოს მოსამართლემ სასამართლოს მეგობრის მოსაზრება: 1)თუ მხარე არაადექვატურად არის წარმოდგენილი 2) თუ მეგობარს აქვს უნიკალური პერსპექტივა ან სპეციფიური ინფორმაცია, რაც შესაძლოა მნიშვნელოვნად გამოადგეს მოსამართლეს.[95]

სასამართლოს უნდა ჰქონდეს ლიბერალური დამოკიდებულება სასამართლოს მეგობრის მიმართ, ვინაიდან სასამართლოს მეგობარი არ უწევს ადვოკატირებას არც ერთ მხარეს და არც აქვს ამის უფლება, პირიქით, იგი ეხმარება გადაწყვეტილების მიღების პროცესს. მაგალითად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დახმარების გაწევა შეუძლია სასამართლოს მეგობარს როდესაც საჭიროა კონკრეტული სამართლებრივი დოკუმენტის სათანადო ისტორიული გაგება, ამ დროს სასამართლოსთვის ძალიან სასარგებლო ინფორმაციის მიცემა შეეძლებათ იურიდიული სფეროს მკვლევარებს, ისტორიკოსებს, ვისაც მთელი თავისი ცხოვრება მიძღვნილი

---

[94]*მეიშვილი,*AMICUS CURIAE სისხლის სამართალწარმოებაში: ტენდენციები და გამოწვევები,მართლმსაჯულება და კანონი #1 (53)/2017,50.

[95]*Frey*, “Amici Curiae: Friends of the Court or Nuisances?”,?” Litigation, 33(1)/2006,5.

აქვს ასეთი საკითხების შესწავლისთვის.[96]შესაბამისად, ასეთი სუბიექტების მიერ წარდგენილი მოსაზრება, ღირებული იქნება სასამართლოსთვის და მოსამართლეც დიდი ალბათობით სწორედ ასეთ ინფორმაციებს დაეყრდნობა.

აშშ-ში სასამართლოები ყველაზე ხშირად სასამართლოს მეგობრის მოსაზრებას მხედველობაში სწორედ მაშინ იღებენ, როდესაც ის ისეთ ფაქტებზე მიუთითებს, რომელზეც საქმის განხილვისას მხარეებს არ უმსჯელიათ. სწორედ, ამიტომ აღნიშნავენ რომ Amicus curiae-ს დასკვნა ყველაზე ეფექტურად მაშინ ითვლება, როდესაც ის სასამართლოს ახალი ინფორმაციის მოპოვებასა და ანალიზში ეხმარება. მაგალითად, აშშ-ში 1989 წელს, განიხილებოდა საქმე რეპროდუქციული ჯანმრთელობის ცენტრის წინააღმდეგ უკანონო აბორტთან დაკავშირებით. ამ საქმესთან მიმართებაში მოსასამართლე სტეფან ბრეიერმა აღნიშნა, რომ მედიცინის დარგის წარმომადგენელთა მიერ გაკეთებულმა დასკვნამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, ისეთი ტექნიკური სამედიცინო საკითხების ახსნა-განმარტება, რომლებზეც მხარეთა მიერ გამახვილებული არ ყოფილა და რამაც არსებითი გავლენა იქონია სასამართლოზე გადაწყვეტილების მიღებისას.[97](იხ. სასამართლოს მეგობრის მოსაზრება აღნიშნულ საქმეზე: https://digitalcommons.law.yale.edu/cgi/viewcontent.cgi?referer=https://www.google.com/&httpsredir=1&article=1008&context=yjll ნანახია 18.05.2019)

აშშ-ში სასამართლოს მეგობრის გავლენა მოსამართლეებზე ძალიან დიდია, სასამართლოთა გადაწყვეტილებები ხშირად ეფუძნება "Amicus curiae-"ს დამრიგებლურ რჩევებს. ბევრს საქმეში მოსამართლეს მთავარ არგუმენტად სწორედ სასამართლოს მეგობრის დასკვნაში მითითებული ფაქტები გამოუყენებია. სასამართლოს მეგობრის დასკვნას სასამართლოები სულ უფრო ხშირად იყენებენ . ჯერ კიდევ 1970-1980-იან წლებში Amicus curiae -ს დასკვნა გამოყენებულ იქნა 51,4 %-ში.1995 წელს ეს რიცხვი 95%მდე გაიზარდა .დღესდღეისობით აღნიშნული მაჩვენებელი რვა ათეულითაა გაზრდილი.[98]

რაც შეეხება ქართველი მოსამართლეების დამოკიდებულებას სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტის მიმართ, მათი პოზიციიდან იმ პრობლემებს შორის, რომელიც სასამართლოს მეგობრის მოსაზრებებზე მუშაობას ახლავს თან, არის ის, რომ ხშირ შემთხვევაში მოასაზრების ავტორს უჭირს ძირითადი ხაზის დაცვა და ხშირ შემთხვევაში, ხდება იდეების გაფანტვა. ცალკეული არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი საამართლო მეგობრის მოსაზრებები სცდება ფორმატს და უფრო მეტად

---

[96]*Frey,* "Amici Curiae: Friends of the Court or Nuisances?", ?" Litigation, 33(1)/2006,6.

[97]*ბხეიძე,* სასამართლოს მეგობარი ქართულ სისხლის სამართლის პროცესში (Amicus curiae), მართლმსაჯულება და კანონი #3 (30)/2011, 135.

[98]იქვე.

ცდილობს მხარის პოზიციის დასაბუთებას, ან საქმეში მონაწილე ცალკეული მხარის პოზიციის გაზიარებას.[99]რა თქმა უნდა უმნიშვნელოვანესია, რომ სასამართლოს მეგობრის მოსაზრება არ იყოს იმ პოზიციაზე და არგუმენტებზე დაფუძნებული რაც მხარეებმა წარმოადგინეს და არ უნდა იკვეთებოდეს რომელიმეს მხარდაჭერა.მხოლოდ ასეთ დროს თუ იქნება მოსაზრება გამოსადეგი მოსამართლისთვის.

სახალხო დამცველის როგორც სასამართლოს მეგობრის მიმართ ნამდვილად არის ნდობა, რასაც ადასტურებს სასამართლო პრაქტიკა, რომელშიც მოსამართლეები დიდწილად იზიარებენ მის მიერ წარდგენილ მოსაზრებას. სასამართლომ შესაძლოა სიტყვა-სიტყვით არ გაიმეოროს სასამართლოს მეგობრის მიერ წარდგენილი კომენტარი, მაგრამ აშკარა იყოს, რომ გადაწყვეტილება ეყრდნობა მის მიერ შემოთავაზებულ ლოგიკას.[100] ძნელი სათქმელია, თუ რა დამოკიდებულება აქვს მოსამართლეს სასამართლოს მეგობრის მიმართ, როდესაც მას არა სახალხო დამცველი, არამედ ჩვეულებრივი მოქალაქე წარადგენს. კვლევის ფარგლებში საქართველოს საერთო სასამართლოების მასშტაბით ყველა რაიონული თუ საქალაქო სასამართლოსგან გამოთხოვილი ინფორმაციის საფუძველზე, არც ერთ სასამართლოში 2015 წლიდან 2019 წლის 8 მაისის მონაცემებით არ შესულა მოქალაქე სასამართლოს მეგობრის სტატუსით **(იხ. დანართი #5)** გარდა რუსთავის საქალაქო სასამართლოსი. მხოლოდ ერთ ადმიისტრაციულ საქმეზე იქნა წარდგენილი სასამართლოს მეგობრის მოსაზრება (***იხ.დანართი#7)*** თუმცა გადაწყვეტილების გამოტანისას იგი მოსამართლეს არ გაუთვალისწინებია.

დასკვნა

ბუნებრივად თუ ხელოვნურად გართულებულ სასამართლო სისტემაში Amicus Curiae-ს მიერ გამოთქმულ ეფექტურ, ლაკონიურ და ეთიკურ მოსაზრებებს არსებითი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ იმ პირებისთვის, რომელთა საქმეებსაც სასამართლო განიხილავს, არამედ მთელი საზოგადოებისთვისაც. სასამართლოს მიერ კონკრეტული საქმის განხილვის დროს შექმნილი პრეცედენტები ზოგადად საზოგადოებაში გავრცელებულ წესებზეც ახდენს ზეგავლენას.[101]სასამართლოს მეგობარს მნიშვნელოვანი

---

[99]*გორგოძე,* სასამართლოს მეგობარი-სპეციალური ცოდნით აღჭურვილი პირების კონსულტირება მართლმსაჯულებისთვის თუ მხარეთა პოზიციების განმტკიცების ინსტიტუტი, მაია ივანიძის 50 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, 100.

[100]*კოტეტიშვილი/* სუბარი (რედ.), Amicus curiae სასამართლოს მეგობარი,11.

[101]*კოტეტიშვილი/* სუბარი (რედ.), Amicus curiae სასამართლოსმეგობარი,11.

ადგილი უჭირავს არა მარტო ადმინისტრაციულ პროცესში, არამედ ზოგადად ქართულ მართლმსაჯულებაში, ასევე საერთაშორისო ასპარეზზე.

ნაშრომში გამოკვეთილია სასამართლოს მეგობრის, როგორც საზოგადოებრივი ბერკეტის,ფუნქცია ეფექტური,გამჭვირვალე და სწრაფი მართლსაჯულების განხორციელებაში. მოქალაქეებისთვის, სახალხო დამცველისა თუ სხვა აქტიური სუბიექტებისთვის ისწარმოადგენს სამართალწარმოებაში ჩართვის საშუალებას და საკუთარი მოსაზრების მოსამართლისთვის წარდგენის შესაძლებლობას. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული 2017-2020 წლების ასოცირების დღის წესრიგით გათვალისწინებულია მოკლევადიანი პრიორიტეტების შესრულება ექვს სფეროში და მათ შორის პირველ ადგილზე სწორედ მართლმსაჯულების სექტორი დგას. 2017 წლის 29 მაისს დამტკიცდა სასამართლო სისტემის სტრატეგია 2017-2021 წლებისათვის. სასამართლო სისტემის სტრატეგია ხუთ ძირითად სტრატეგიულ მიმართულებას ასახავს: დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა; ანგარიშვალდებული მართლმსაჯულების უზრუნველყოფა; ხარისხიანი მართლმსაჯულებისა და პროფესიონალიზმის უზრუნველყოფა; სასამართლო სისტემის ეფექტიანობის უზრუნველყოფა; მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა სასამართლო ხელისუფლების მიმართ ნდობის ამაღლების მიზნით საქმეთა მართვის ელექტრონული პროგრამის გაუმჯობესება. სწორედ ანგარიშვალდებული მართლმსაჯულებისა და სასამართლო სისტემის ეფექტურ განხორციელებას ემსახურება სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტი.

ნაშრომში განხილულ იქნა პრობლემატური საკითხები, რაც ადმინისტრაციულ პროცესში სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტს უკავშირდება, სასამართლოს მეგობრის, როგორც პროცესის მიუკერძოებელი მონაწილის სტატუსიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ საქმეში მისი მონაწილეობის ნებისმიერი საკითხი სრულყოფილად იყოს გაწერილი და არ არსებობდეს რაიმე ხარვეზი, რამაც შესაძლებელია გარკვეული ზიანი მიაყენოს სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტს.[102]ასეთია, მაგალითად, საძიებო სისტემის არარსებობა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნებოდა სასამართლო გადაწყვეტილებების მოძიება, სადაც სასამართლოს მეგობარმა წარადგინა მოსაზრება. აღნიშნული დასტურდება კვლევის ფარგლებში მოპოვებული არაერთი დოკუმენტით.

ხარვეზია ისიც, რომ კანონის ნორმაში არ არის განსაზღვრული, რა სტანდარტით ხდება სასამართლოს მეგობარსა და პროცესის სხვა

[102] *მეიშვილი,*AMICUS CURIAE სისხლის სამართალწარმოებაში: ტენდენციები და გამოწვევები,მართლმსაჯულება და კანონი #1 (53)/2017,53.

მონაწილეებს შორის ურთიერთობა. კვლევის ფარგლებში შემოთავაზებული საკანონმდებლო ცვლილება, ვფიქრობთ, მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს სასამართლოს მეგობრის სუბიექტისადმი ნდობის და დამოუკიდებლობის ხარისხს.კანონში ზუსტად უნდა იყოს გაწერილი მხარეთა უფლებამოსილებები და მკვეთრად გამიჯნული- მათი ფუნქციები, [103]ამიტომ უმჯობესი იქნება სასამართლოს მეგობრის მოსაზრების წარდგენაზე უფლებამოსილი წრის დაკონკრეტება, რათა დაინტერესების შემთხვევაში სხვადასხვა სუბიექტმა თვითნებურად არ შეიკავოს თავი ინიციატივის გამოჩენაზე.

უმჯობესია მეტი კონკრეტიკა სახელმწიფო ორგანოების შემთხვევაში, ვინაიდან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ (პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის მაგალითი), არ გახდეს სადავო კონკრეტული სუბიექტის მონაწილეობა-არმონაწილეობის საკითხი. რადგან, როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს საოქმო ჩანაწერიდან ირკვევა, სასამართლოს მეგობარი არ ყოფილა წარმოდგენილი აღნიშნულ საქმეზე. რადგან პრეზიდენტი აქტიურად აანონსებდა ამ სტატუსით პროცესში ჩართვის თაობაზე, სავარაუდოა, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ არ მიიღო პრეზიდენტის მოსაზრება, საუბარია სამართალწარმოებაში ჩართვის უარყოფაზე და არა მოსაზრების გაუზიარებლობაზე. კონკრეტული საქმიდან ჩანს სასამართლოს მეგობრის სუბიექტისადმი გაურკვევლი მიდგომა, ვინაიდან ქართული საკანონმდებლო ჩარჩო ინსტიტუტს არ უწესებს შეზღუდვას; არანირი მითითება როგორც ადმინისტრაციულ, ისე საკონსტიტუციო და სისხლის სამართლის კანონმდებლობაში სახელმწიფო ორგანოების თუ თანამდებობის პირების დაუშვებლობის თაობაზე არ გვხვდება, მაგრამ ფაქტია: სასამართლო, მიუხედავად ამისა, მაინც არ იღებს მსგავსი სუბიექტის მიერ წარდგენილ მოსაზრებას, ყოველივე ეს კი იწვევს გაურკვევლობასა და სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტის დაკნინებას. აქედან გამომდინარე, უმჯობესია კანონმდებელი შეჯერდეს ერთ პოზიციაზე და ნორმაში ასახოს ყველა ის გამომრიცხავი გარემოება, რომელიც ხელს შეუშლის პირს, სასამართლოს მიმართოს მოსაზრების წარდგენაზე სასამართლოს მეგობრის სტატუსით.

კვლევის ფარგლებში გამოვლენილ ხარვეზებს შორის იყო ასევე სასამართლოს მეგობართან კომუნიკაციის სტანდარტის არარსებობა. კანონის ნორმაში არ არის განსაზღვრული, რა სტანდარტით ხდება სასამართლოს მეგობარსა და პროცესის სხვა მონაწილეებს შორის ურთიერთობა. სასამართლოს მეგობრის, როგორც პროცესის მიუკერძოებელი მონაწილის,

---

[103] *გორგოძე,*სასამართლოსმეგობარი-სპეციალური ცოდნით აღჭურვილი პირების კონსულტირება მართლმსაჯულებისთვის თუ მხარეთა პოზიციების განმტკიცების ინსტიტუტი, მაია ივანიძის 50 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული,95.

სტატუსიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ საქმეში მისი მონაწილეობის ნებისმიერი საკითხი სრულყოფილად იყოს გაწერილი და არარსებობდეს რაიმე ხარვეზი, რამაც შესაძლებელია გარკვეული ზიანი მიაყენოს ამ ინსტიტუტის დამოუკიდებლობას და ობიექტურობას. გასათვალისინებელია ისგარემოება, რომ შესაძლოა განხორციელდეს რომელიმე მხარის მხრიდან სასამართლოს მეგობარზე ზეწოლის მცდელობა, მისი მხარდასაჭერი მოსაზრების სასამართლოში წარდგენის მიზნით, ამიტომ, ჩვენი აზრით, უნდა არსებობდეს გარკვეული კომუნიკაციის სტანდარტი სასამართლოს მეგობარსა და პროცესის დანარჩენ მონაწილეებს შორის, ისევე როგორც ეს მოსამართლის შემთხვევაში არის და რეგულირდება საქართველოს კანონით „საერთო სასამართლოების მოსამართლეებთან კომუნიკაციის წესის შესახებ.“ აღნიშნული კანონის მე-3 მუხლი ეხება მოსამართლესთან კომუნიკაციის დაუშვებლობას, კერძოდ: „საქმის სასამართლოში შესვლის მომენტიდან ამ საქმეზე გამოტანილი სასამართლო გადაყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე, აგრეთვე სისხლის სამართლის საქმის გამოძიების სტადიაზე აკრძალულია მოსამართლესთან პროცესის მონაწილის, დაინტერესებული პირის, საჯარო მოსამსახურის სახელმწიფო მოსამსახურის, სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირისა და პოლიტიკური თანამდებობის პირის კომუნიკაცია, რომელიც დაკავშირებულია კონკრეტული საქმის ან საკითხის განხილვასთან ან/და საქმის სავარაუდო შედეგთან დაარღევს სასამართლოს/ მოსამართლის დამოუკიდებლობის მიუკერძოებლობისა დასასამართლო პროცესის შეჯიბრებითობის პრინციპებს.“ ჩვენი აზრით, საკანონმდებლო ცვლილებას საჭიროებს სწორედ ამ მუხლის ნაწილში, სადაც ბოლო წინადადებად უნდა ჩაემატოს ფრაზა შემდეგი ფორმულირებით: „თუ საქმეში წარმოდგენილია სასამართლოს მეგობრის მოსაზრება, კომუნიკაციის დაუშვებლობა გავრცელდება ასევე მოსაზრების წარმდგენ პირზეც.“

ადმინისტრაციულ პროცესში მოქმედი ნორმა არ ითვალისწინებს ასევე სასამართლოს მეგობრის სუბიექტის მიერ კონკრეტულ პროცესში ჩართვის მიზნის დასაბუთებულობის მოთხოვნას. რატომ დაინტერესდა აღნიშნული საქმით და რა მიზანს ემსახურება მისი მოსაზრება, რას მოუტანს მისი ჩართულობა თავად მას ან სხვა პირებს, იქნება ამ ინსტიტუტის დამოუკიდებლობის დამატებითი გარანტია. შესაბამისად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ სასკ-ის მე-16[1] მუხლის პირველი პუნქტი შემდეგი სახით ჩამოყალიბდეს: „ნების მიერ პირს, რომელიც არ არის მხარეადმინისტრაციული სამართლის განსახილველ საქმეში, უფლება აქვს, საქმის არსებით განხილვამდე არანაკლებ 5 დღით ადრე აღნიშნულ პროცესში

თავისი მონაწილეობის მიზნის მითითებით, სასამართლოს წარუდგინოს წერილობითი მოსაზრება აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით.

წარმოდგენილი ცვლილებების პროექტის განხორციელების შემთხვევაში, სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტის დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა უფრო მეტად განმტკიცდება, შესაბამისად ნდობა მის მიერ წარდგენილი მოსაზრებისადმი გაიზრდება.

როგორც კვლევის ფარგლებში მიღებული ხუთი წლის სტატისტიკა აჩვენებს, სასამართლოს მეგობრის შესახებ ნორმა ამ პერიოდის განმავლობაში არ ყოფილა უმოქმედოდ, პირიქით, აქტიურობა საკმაოდ მაღალი იყო, აქედან გამომდინარე, შეუძლებელია იმის თქმა, რომ ნოვაცია წარუმატებელი აღმოჩნდა. სასამართლოს მეგობარმა საზოგადოებრივი კონტროლის ინსტრუმენტის ფუნქცია შემატა ქართულ მართლმსაჯულებას. სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტის მნიშვნელობა იმდენად დიდი არის ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში, რომ კვლევის ფარგლებში გამოვლენილი ხარვეზები მის მნიშვნელობას მაინც ვერ აკნინებს, თუმცა აღნიშნული ხარვეზების გამოსწორების შემთხვევაში რა თქმა უნდა, ამ ინსტიტუტის შედეგები გაცილებით უკეთესი იქნება. ამიტომ მიზანშეწონილიც და შესაძლებელიც გვგონია ნაშრომში დასახელებული საკანონმდებლო ხარვეზების აღმოფხვრა.

უცხო ქვეყნებისა და საერთაშორისო მართლწესრიგის ფართო გამოცდილება აჩვენებს, რომ ამ იდეის რეალიზაცია მოითხოვს სერიოზულ სამეცნიერო-თეორიულ დასაბუთებას. სჭირდება წლები, ათწლეულების კი, რომ სასამართლოს მეგობარმა მართლმსაჯულებაში შესაფერისი ადგილი დაიკავოს. [104]ამიტომ აუცილებელია, მოხდეს სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტის პოპულარიზაცია განსაკუთრებით, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, რათა იურიდიული პროფესიის წარმომადგენლები უფრო აქტიურად ჩაერთონ ამ პროცესში და წარადგინონ თავიანთი, როგორც Amicus Curiae-ს, წერილობითი მოსაზრებები.[105]

მოსამართლეები აღნიშნავენ, რომ აუცილებელია, საზოგადოების ცნოებიერება ამაღლდეს იმასთან დაკავშირებით, თუ რას წარმოადგენს მოსამართლის სტატუსი, რამდენად დიდი შრომა უწევს მას თითოეული გადაწყვეტილების მიღებამდე და ზოგადად, როგორ მუშაობს

---

[104]*გორგოძე,* სასამართლოს მეგობარი-სპეციალური ცოდნით აღჭურვილი პირების კონსულტირება მართლმსაჯულებისთვის თუ მხარეთა პოზიციების განმტკიცების ინსტიტუტი, მაია ივანიძის 50 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეოკრებული, 101.

[105]*მეიშვილი,*AMICUS CURIAE სისხლის სამართალწარმოებაში: ტენდენციები და გამოწვევები,მართლმსაჯულება და კანონი #1 (53)/2017,62.

მართლმსაჯულების სისტემა.[106] როგორც სხვა შემთხვევაში, აქაც ჩანს სახალხო დამცველის აქტივობა, სასკ-ში სასამართლოს მეგობრის ნოვაციის განხორციელებიდან ერთ წელში ევროპის საბჭოს ოფისისა და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ორგანიზებით (2016 წლის 23 ივნისს) ჩატარდა კონფერენცია თემაზე „სასამართლოს მეგობარი როგორც ეფექტური სახელმძღვანელო მექანიზმი ადამიანის უფლებათა საკითხებზე ეროვნული სასამართლოებისთვის." კონფერენციის მიზანი იყო, ხაზი გაესვა სახალხო დამცველის ოფისის, როგორც „სასამართლოს მეგობრის," როლისა და მესამე მხარის ჩართულობის მნიშვნელობისთვის სამართალწარმოებაში. კონფერენციაზე გამართულ საჯარო დებატებში მონაწილეობდნენ ადამიანის უფლებათა დაცვაში ჩართული ინსტიტუტები, სახალხო დამცველის აპარატის, უზენაესი სასამართლოს, საკონსტიტუციო და საერთო სასამართლოების, საქართველოს პარლამენტის, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის, ადამიანის უფლებების დარგში წამყვანიარასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.გაზიარებულ იქნა ადგილობრივი და საერთაშორისო საუკეთესო გამოცდილება.

სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტის პოპულარიზაციას ემსახურებოდა ამა წლის 27 ივნისს ჩატარებული ტრენინგებიც სასამართლოს მეგობრის მოსაზრების მომზადების შესახებ, აღნიშნული განხორციელდა USAID-ის ერთ-ერთი პროგრამის USAID-PROLoG-ის ინიციატივით.ტრენინგის მიზანია გაამლიეროს მართლმსაჯულების სისტემა, რათა უზრუნველყოს სასამართლო დამოუკიდებლობა და ადამიანის უფლებების დაცვა. საერთაშორისო ექსპერტმა ივანა როანამ ჩაატარა ტრენინგი, რომლის ფარგლებშიც მონაწილეებს გაუზიარა თავისი გამოცდილება და საუკეთესო პრაქტიკა სასამართლოს მეგობრის მოსაზრებების მომზადებისა და ეროვნულ და საერთაშორისო სასამართლოებში წარდგენის შესახებ. ღონისძიებას ესწრებოდნენ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.[107] სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტი გულისხმობს საზოგადოების ყველა ფენის ჩართულობას სასამართლო პროცესში, ამიტომ მნიშვნელოვანია საზოგადოების აქტიური ინფორმირება ასეთი ნორმის არსებობასთან დაკავშირებით.[108]

---

[106] *აბაშიძე/ არგანაშვილი/ ბერაია/ ვერძეული/ შერმადინი / ციმაკურიძე /*ბურჯანაძე (რედ.) სასამართლო სისტემა რეფორმები და პერსპექტივები,21

[107] http://ewmi-prolog.org/ka/news/1191-treningi-gamoxatvis-tavisuflebis-sidzulvilis ნანახია 28.07.2019

[108] *გორგოძე,* სასამართლოს მეგობარი-სპეციალური ცოდნით აღჭურვილი პირების კონსულტირება მართლმსაჯულებისთვის თუ მხარეთა პოზიციების განმტკიცების ინსტიტუტი, მაია ივანიძის 50 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, 101.

მსგავსი ფორმატის აქტივობები მნიშვნელოვან როლს თამშობს სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტის როგორც პოპულარიზაციის, ისე მოსაზრების წარმდგენი პირებისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდების მხრივ. თუ საზოგადოებამ იცის საკუთარი უფლებები, მათი ეფექტურად და სწორად გამოყენება, მაშინ შესაძლებელიიქნება მართლმსაჯულების სისტემის გამართული მუშაობა,. ხარისხიანი გადაწყვეტილება და სწრაფი მართლმსაჯულება უმნიშვნელოვანესი ფაქტორებია სამართალწარმოებაში.

ვფიქრობ, ყველას სჭირდება მეგობარი, მათ შორის სასამართლოსაც. აღნიშნული ინსტიტუტის განვითარების შედეგად შესაძლოა სასამართლოს ბევრმა მიმართოს დახმარების მიზნით, მაგრამ რეალური სამართლებრივი დახმარება მას მხოლოდ ერთეულებმა გაუწიონ. შესაბამისად, სასამართლო ხელისუფლებას უნდა ახსოვდეს, რომ ყველაზე დიდი მეგობარი სიმართლე და კანონის უზენაესობაა. სწორედ ამიტომ უნდა გამოარჩევდესმოსამართლეს ყველა დანარჩენისგან შინაგანი რწმენა და თავისუფალი ნება...

Amicus Plato, amicus Socrates, sed magis amica veritas.[109]

(პლატონი ჩემი მეგობარია, სოკრატე ჩემი მეგობარია,
მაგრამ სიმართლეა ჩემი ყველაზე დიდი მეგობარი).

[109] *Stone,* The routledge dictionary of latin quotations, 8

ბიბლიოგრაფია

ლიტერატურა:

აბაშიძე ა./ არგანაშვილი ა./ ბერაია გ./ ვერძეული ს./კუკავა ქ./ შერმადინი ო./ ციმაკურიძე ე./ რედ. ბურჯანაძე გ., სასამართლო სისტემა რეფორმები და პერსპექტივები, თბილისი 2017.

ბურჯანაძე გ., 2008-2013 წლებში საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გაცემულ რეკომენდაციათა შესრულების ანგარიში და ანალიტიკური კვლევა, თბილისი 2014.

გორგოძე მ., სასამართლოს მეგობარი- სპეციალური ცოდნით აღჭურვილი პირების კონსულტირება მართლმსაჯულებისთვის თუ მხარეთა პოზიციების განმტკიცების ინსტიტუტი, მაია ივანიძე- 50 (საიუბილეო კრებული), თბილისი 2017, 80-101.

კვაჭაძე მ./ ჯუღელი ნ./ ღვინჯილია ე./ ლურსმანაშვილი ლ., სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტის (AMICUS CURIAE) როლი სამართალწარმოების პროცესში, მართლმსაჯულება და კანონი №1(61), თბილისი 2019, 16-59.

კოპალეიშვილი მ./ ტურავა პ./ ხარშილაძე ი./ ლორია ხ./ გვარამაძე თ./ ღვამიჩავა თ., ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი 2018.

კოტეტიშვილი ი./ სუბარი ს., (რედ.) Amicus curiae სასამართლოს მეგობარი, თბილისი 2006.

მეიშვილი ზ., AMICUS CURIAE სისხლის სამართალწარმოებაში: ტენდენციები და გამოწვევები, მართლმსაჯულება და კანონი #1 (53), თბილისი 2017, 47-69.

ღვამიჩავა თ., ხელმძღ.ხარშილაძე ი., საკასაციო საჩივრის დასაშვებობა ადმინისტრაციულ პროცესში, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად თბილისი 2017.

ჩხეიძე ი., სასამართლოს მეგობარი ქართულ სისხლის სამართლის პროცესში (Amicus curiae), მართლმსაჯულება და კანონი #3 (30), თბილისი 2011, 134-140.

ცხადაძე ქ., წარმომადგენლობის ინსტიტუტის საჭიროება ადმინისტრაციულ სამართალში, სამართლის ჟურნალი #1, თბილისი 2012, 294-305.

ცხადაძე ქ., ხელმძღ. კოპალეიშვილი მ., წარმომადგენლობის ინსტიტუტი ადმინისტრაციულ სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი 2016.

ხარიტონიშვილი ნ., (ხელმძღვ.) ძლიერიშვილი ზ., მესამე პირები სამოქალაქო პროცესში, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი 2017.

ხარშილაძე ი., ადმინისტრაციული საჩივარი, როგორც სარჩელის წარდგენის წინაპირობა, სამართლის ჟურნალი # 1, თბილისი 2011,182-190.

ხარშილაძე ი./ ოვსიანიკოვა ნ., საზღვარგარეთის ქვეყნების ადმინისტრაციული სამართალი, თბილისი 2014.

*ბერიშვილით./ბონე ე./დეპეი./ლაბაძემ./სვანიშვილი ს./ტურავა ბ./ფუკნერი გ./ქარდავა ე./ყალიჩავა კ./ ხიშტოვანი გ./*ხუბუა გ./ ყალიჩავა კ., (რედ), ადმინისტრაციული მეცნიერების სახელმძღვანელო,IV ტომი თბილისი 2018.

საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის საქმიანობის ანგარიში,თბილისი 2016.

საქართველოს უზენაესის სასამართლოს პრაქტიკა ადმინისტრაციულ საქმეებზე, თბილისი 2016.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკული რეკომენდაციები ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის საკითხებზე მაგისტრატი მოსამართლისათვის, თბილისი 2010.

Frank M. Covey Jr., Amicus Curiae: Friend of the Court, DePaul Law Review#30,Chicago 1959, 30-37.
https://via.library.depaul.edu/cgi/viewcontent.cgi?article=3531&context=law-review

Frey A., "Amici Curiae: Friends of the Court or Nuisances?" Litigation, 33(1), Chicago 2006,pg.5-68.
https://www.jstor.org/stable/29760599?seq=1#metadata_info_tab_contents

Mohan, S. Chandra., The Amicus Curiae: Friends No More?. Singapore Journal of Legal Studies #2, Singapore 2010, 353-374.

https://ink.library.smu.edu.sg/cgi/viewcontent.cgi?article=2927&context=sol_research

Caldeira, G./ Wright, J., Amici Curiae before the Supreme Court: Who Participates, When, and How Much? The Journal of Politics, 52(3), (1990).782-806. https://www.jstor.org/stable/i337401

"Amici Curiae." Harvard Law Review, #34(7),Cambridge 1921,https://www.jstor.org/stable/1329231?Search=yes&resultItemClick=true&searchText=amicus&searchText=curiae&searchUri=%2Faction%2FdoBasicResults%3Fgroup%3Dnone%26amp%3Bwc%3Don%26amp%3BQuery%3Damicus%2Bcuriae%26amp%3Bacc%3Don%26amp%3Brefreqid%3Dsearch%253A6fd47720328d577aab6b1c38fee48a3f%26amp%3Bfc%3Doff&ab_segments=0%2Fdefault-2%2Fcontrol&refreqid=search%3A44935895ec2743d2d6a0f0ef7717bcac&seq=4#metadata_info_tab_contents
773-776.

ლექსიკონი:

ალექსიძე ლ./ გაგუა ი./ დანელია მ./ კობახიძე ე./ რუხაძე ნ., ლათინური იურიდიული ტერმინოლოგია, თბილისი 2015.

Stone J., The routledge dictionary of latin quotations,The Illiterati's Guide to Latin Maxims, Mottoes, Proverbs and Sayings, NewYork 2005. https://books.google.ge/books?id=rAXHv7KlHxMC&printsec=frontcover&source=gbs_ge_summary_r&cad=0#v=onepage&q&f=false

Е. И. Темнов, латинские юридические изречения, Юристь,Москва 1966.

ნორმატიული მასალა:

საქართველოს კონსტიტუცია
ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია
საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ ორგანული კანონი

საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ ორგანული კანონი
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი
საქართველო ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი
საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი
სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი
საქართველოს კანონი საერთო სასამართლოების მოსამართლეებთან კომუნიკაციის წესის შესახებ
საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტი

სასამართლო გადაწყვეტილებები:

საქართველოს სახალხო დამცველის კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ/ საკონსტიტუციო სასამართლო (28 ივნისი, 2010) პლენუმის გადაწყვეტილება № 1/466 https://matsne.gov.ge/ka/document/view/1093155?publication=0
საქართველოს სახალხო დამცველის სასამართლოს მეგობრის მოსაზრება # 10/5091 (24/06/2015) თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა/ საქმეზე #3/3087-14/
საქართველოს სახალხო დამცველის სასამართლოს მეგობრის მოსაზრება# 14/14788 (29/11/2018) თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა/ საქმეზე #3303100170020024225/
საქართველოს სახალხო დამცველის სასამართლოს მეგობრის მოსაზრება # 08/5189 (24/05/2016) თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა/ საქმეზე #3ბ/ 108-16/
Green v. Biddle/ U.S Supreme Court (1821) იხ. გადაწყვეტილება https://caselaw.findlaw.com/us-supreme-court/21/1.html

Taliko TKHELIDZE against Georgia / European Court of Human Rights/ (13 April 2017) Application#33056/17 იხ. საქმე https://hudoc.echr.coe.int/eng#{"fulltext":["Tkhelidze"],"itemid":["001-175519"]}

დანართი *#1*

დამტკიცებულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2011 წლის 18 აპრილის N81/3 დადგენილებით

რეგისტრაციის N _____

მიღების თარიღი: __/__ /__

„სასამართლოს მეგობრის“ მოსაზრება

„სასამართლოს მეგობრის“ მოსაზრებისფორმასთანდაკავშირებით,კითხვის, შენიშვნისანრეკომენდაციისარსებობისშემთხვევაშიშეგიძლიათდაგვიკავშირდეთნომერზე +995 422-27-00-99 ანმოგვწეროთელექტრონულიფოსტისმეშვეობითმისამართზე: const@constcourt.ge;ვებგვერდი:www.constcourt.ge

თურომელიმეპუნქტისშესავსებადგამოყოფილიადგილიარიქნებასაკმარისი, შეგიძლიათფორმასდამატებითიგვერდიდაურთოთ.
ყოველდამატებითგვერდზეგადაიტანეთიმპუნქტისსათაური, რომელსაცავსებთ.
წერისდასრულებისშემდეგფორმადანომრეთ.

I. ფორმალურინაწილი

1. მოსაზრების ავტორის რეკვიზიტები:

სახელი, გვარი/სახელწოდება	პირადი/საიდენტიფიკაციო ნომერი	მისამართი
ალტერნატიული მისამართი	ტელეფონი	ელექტრონული ფოსტა

2. საქმის დასახელება, რომელთან დაკავშირებით არის შედგენილი მოსაზრება[შენიშვნა 1]

II. „სასამართლოს მეგობრის“ მოსაზრება [შენიშვნა 2]

შენიშვნა 1 -ქვემოთ მოცემულ ველში უნდა მიეთითოს კონსტიტუციური სარჩელის ნომერი, მოსარჩელისა და მოპასუხის დასახელება ან/და სხვა ინფორმაცია, რომლის საფუძველზეც სასამართლოსთვის ცხადი გახდება, თუ რომელ საქმესთან დაკავშირებითაა მომზადებული მოსაზრება.

IV.თანდართული დოკუმენტების სია

ა. დოკუმენტები, რომლებიც სასურველია ერთვოდეს მოსაზრებას (გთხოვთ, მონიშნოთ შესაბამისი უჯრა)

1. სადავონორმატიულიაქტისტექსტი. ☐
2.„სასამართლოს მეგობრის“ მოსაზრებისელექტრონულივერსია. ☐

ბ. სხვა დოკუმენტები:

1.
2.

მოსაზრების ავტორის ხელმოწერა:	თარიღი:

შენიშვნა 2 - ქვემოთ მოცემულ ველში უნდა მიეთითოს „სასამართლოს მეგობრის“ არგუმენტები და მის მიერ მოყვანილი მტკიცებულებები რომლებითაც ის ასაბუთებს საქმესთან დაკავშირებით გამოთქმულ მოსაზრებას.

დანართი #2

წარდგენის წელი	ადრესატი	ადრესატი2
2015	ზესტაფონის რაიონული სასამართლოს მოსამართლეს გელა ჭირიას	ადმინისტრაციული
2015	თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლეს, ქალბატონ ეკატერინე ჯინჭველაშვილს	ადმინისტრაციული
2015	ბათუმის რაიონული სასამართლოს მოსამართლეს ქალბატონ ხათუნა ბოდენკოს	ადმინისტრაციული
2015	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე	
2015	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე	
2015	თბილისის საქალაქო სასამართლოს თავჯდომარეს მამუკა ახვლედიანს	სისხლი
2015	თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას	ადმინისტრაციული
2015	თბილისის საქალაქო სასამართლოს	ადმინისტრაციული
2015	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე	
2015	თბილისის საქალაქო სასამართლო	ადმინისტრაციული
2016	თბილისის საქალაქო სასამართლო	ადმინისტრაციული
2016	თბილისის საქალაქო სასამართლო	ადმინისტრაციული
2016	თბილისის საქალაქო სასამართლო	ადმინისტრაციული
2016	ქუთაისის საოლქო სასამართლო	ადმინისტრაციული
2016	თბილისის საოლქო სასამართლო	ადმინისტრაციული
2016	თბილისის საოლქო სასამართლო	ადმინისტრაციული
2016	თბილისის საოლქო სასამართლო	ადმინისტრაციული
2016	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს	
2016	თბილისის საქალაქო სასამართლო	ადმინისტრაციული
2017	თბილისის საქალაქო სასამართლო	ადმინისტრაციული
2017	თბილისის საქალაქო სასამართლო	ადმინისტრაციული
2017	თბილისის საქალაქო სასამართლო	ადმინისტრაციული
2017	თბილისის საქალაქო სასამართლო	ადმინისტრაციული
2018	თბილისის საოლქო სასამართლო	ადმინისტრაციული
2018	თბილისის საოლქო სასამართლო	სისხლი
2018	თბილისის საქალაქო სასამართლო	სისხლი
2018	თბილისის საქალაქო სასამართლო	სისხლი
2018	თბილისის საოლქო სასამართლო	სისხლი
2018	თბილისის საქალაქო სასამართლო	სისხლი
2018	თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა	ადმინისტრაციული
2018	ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო	სისხლი
2018	თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია	ადმინისტრაციული
2018	თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია	ადმინისტრაციული
2018	თბილისის საოლქო სასამართლო	ადმინისტრაციული
2018	საქართველოს უზენაესი სასამართლო	ადმინისტრაციული
2019	თბილისის საქალაქო სასამართლო,	ადმინისტრაციული
2019	თბილისის საქალაქო სასამართლო	ადმინისტრაციული
2019	თბილისის საოლქო სასამართლო	ადმინისტრაციული
2019	თბილისის საოლქო სასამართლო	ადმინისტრაციული

დანართი #3

თბილისის საქალაქო სასამართლო

№3-0148/2975098-2974933 03.05.2019 წელი

ქალბატონ სალომე ბანძელაძეს

მისამართი: რუსთავი, კონსტიტუციის ქ. კორპ.14, ბინა 5

ქალბატონო სალომე,

2019 წლის 2 მაისის მომართვის პასუხად, რომლითაც ითხოვთ მოგაწოდოთ სტატისტიკური მონაცემები, რამდენად ხდება მოსამართლეთა მიერ სასამართლოს მეგობრის მიერ წარდგენილი მოსაზრების გათვალისწინება (ადმინისტრაციულ დავებში), ასევე, გადმოგცეთ აღნიშნულ საქმეებზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებები, გაცნობებთ, რომ მოთხოვნილი სახით ინფორმაციის, გადაწყვეტილებების სტატისტიკური აღრიცხვა/დამუშავება და საჯარო მონაცემთა ბაზაში განთავსება თბილისის საქალაქო სასამართლოში არ ხორციელდება, რის გამოც მოკლებული ვართ თქვენი თხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება შეგიძლიათ, გასაჩივროთ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

პატივისცემით,
ავთანდილ წამალაშვილი

უფროსი კონსულტანტი
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი

საქართველო, ქ. თბილისი 0131, დ. აღმაშენებლის ხეივანი, სსა კილომეტრი; ტელეფონი/ფაქსი: (+995 32) 54-10-55; 54-10-56;
Georgia, Tbilisi 0131, David Aghmashenebeli Ave. XII km. Tel/Fax: (+995 32) 54-10-55; 54-10-56;
www.tcc.gov.ge

დანართი #4


აქამდე გსმენიათ თუ არა ტერმინი "სასამართლოს მეგობარი" ?
100 responses
33%
20%
47%
დიახ
ზუსტად არ მახსოვს
პირველად მესმის


თქვენი აზრით სამართლის რომელ სფეროებში გამოიყენება"სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტი"?
100 responses
სისხლის პროცესში
52 (52%)
ადმინისტრაციულ პროცესში
35 (35%)
სამოქალაქო პროცესში
49 (49%)
საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში
38 (38%)
0
20
40
60


მოსამართლის ადგილას რამდენად ენდობოდით და გაითვალისწინებდით სასამართლოს მეგობრის მიერ წარდგენილ მოსაზრებას?
100 responses
88%
11%
გავითვალისწინებდი
არ გავითვალისწინებდი
შემთხვევას გაჩნია

თვლით თუ არა, რომ სასამართლოს მეგობარი უნდა იყოს პირი, რომელსაც აქვს იურიდიული განათლება ან სპეციალური ცოდნა კონკრეტულ დავასთან დაკავშირებულ საკითხებზე?

100 responses



თქვენი აზრით, უწყობს თუ არა ხელს სასამართლოს მეგობარი, მართლმსაჯულების სწრაფ და ეფექტურ განხორციელებას?

100 responses



თქვენი აზრით, უნდა არსებობდეს თუ არა ეს ინსტიტუტი ქართულ საპროცესო კანონმდებლობაში?

100 responses



დანართი #5

სენაკის რაიონული სასამართლო

ქ. სენაკი შოთა რუსთაველის ქუჩა № 247 ტ: 0 413 27 51 77; ფაქსი: 0 413 27 51 77
ვებ-გვერდი: www.court.ge; ელ. ფოსტა: senaki@court.ge

13.05.2019 წელი
№ 512

ქალბატონ სალომე ბანძელაძეს

რუსთავი, კონსტიტუციის 14-5

ქალბატონო სალომე,

2019 წლის 8 მაისს სენაკის რაიონულ სასამართლოში, საჯარო ინფორმაციის ელექტრონული პროგრამის მეშვეობით შემოვიდა თქვენი განცხადებები (N 9639; 5154), რომლითაც ითხოვთ 2015 წლიდან დღემდე სენაკის რაიონული სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს ადმინისტრაციულ საქმეებზე, სადაც წარმოდგენილი იქნა „სასამართლოს მეგობრის" მოსაზრება და ასევე სტატისტიკური მონაცემი, მოსამართლის მიერ გათვალისწინებული სასამართლოს მეგობრის მოსაზრებებთან დაკავშირებით.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ 2015 წლიდან დღემდე, „სასამართლოს მეგობრის" მოსაზრება, სენაკის რაიონულ სასამართლოში წარმოდგენილი არ ყოფილა.

პ ა ტ ი ვ ი ს ც ე მ ი თ,

შალვა კაჭარავა
სენაკის რაიონული სასამართლოს მენეჯერი
- საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა
განყოფილების უფროსი - I რანგის - პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის
უზრუნველყოფასა და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე
პასუხისმგებელი პირი

დანართი #6

რუსთავის საქალაქო სასამართლო

საქართველო, ქ.რუსთავი, ბოსტანიქალაქის ქ. № 6; ტელ: კანცელარია 0341 240805;
მისაღები: 0341 24 08 07;

№ 673/ქ

17 მაისი 2019 წ.

ქალბატონ სალომე ბანძელაძეს

ქალბატონო სალომე,

2019 წლის 08 მაისს რუსთავის საქალაქო სასამართლოში შემოსული თქვენი განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ 2015 წლიდან 2019 წლის 08 მაისის ჩათვლით პერიოდში, რუსთავის საქალაქო სასამართლოში მხოლოდ ერთ ადმინისტრაციულ საქმეზე იქნა წარმოდგენილი „სასამართლოს მეგობრის" მოსაზრება. აღნიშნულ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების მიხედვით გადაწყვეტილების გამოტანისას „სასამართლოს მეგობრის" მოსაზრება გათვალისწინებული არ ყოფილა.

პატივისცემით,

მაია იასეშვილი

რუსთავის საქალაქო სასამართლოს

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი